ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 6 ივნისი, 2019 №132 (8086) ფასი: 60 თეთრი



ლუკა კალანდია: „მიხეილ კალანდიას ჩვენება მერაბ მორჩაძემ შეაცვლევინა, რომელიც ივანიშვილთან დაახლოებულმა პირმა მოგვიგზავნა“ გვ.7

4 ივნისიდან

მარკ ტვენი

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




# „ოცნების“ წევრებს რამდენიმე ცოლის მოყვანის უფლება უნდა მიეცეთ“



## „კალაძეს ცოლისძმით აშანტაჟებენ“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „თბილისის საკრებულოში მალე სკამებს აიღებენ და სხდომებს ჩაცუცქულ მდგომარეობაში გამართავენ“



გვ.2



დავით დარჩიაშვილი: „დღეს სააკაშვილი ქართველი პოლიტიკოსიცაა და უკრაინელიც“ გვ.3

დავით ზურაბიშვილი: „ნაციონალებთან წარსულის შეფასებაში ბევრი უთანხმოება გვაქვს, მაგრამ მაინც უნდა ვითანამშრომლოთ“



გვ.3

ვახტანგ გომელაური საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელს შეხვდა გვ.5



## სამართალი

25 წლის ბეთქილ გულბანმა თავი ჩამოიხრჩო



წყალტუბოში გოგონამ შეყვარებულის საფლავზე თავი მოიკლა



გვ.7



იულია სუსლიაკი 4 ბავშვის ბიოლოგიური დედაა, ათივე ბავშვს 1 ბიოლოგიური მამა ჰყავს

46 წლის მამაკაცს 33 წლის ქალის სექსუალური შევიწროებისთვის 300 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა

## საზოგადოება

როგორ ავიცილოთ თვითმკვლელობა მოზარდებში გვ.6





სხვიტარიძე: „ვამბობთ, რომ ბიუჯეტი 400 მლნ-მდე ლარს კარგავს, მაგრამ ნაბიჯი არ იდგმება“ გვ.6



ჯემალ გამახარია: „დევნილებისთვის ჩამორთმეული ქონება არავინ არ უნდა შეიძინოს“ გვ.5

ISSN 1987-9385

5 რუსეთი საქართველოს ახლებურად ემუქრება

4 იპოვის თუ არა სამართალს მალხაზ მაჩალიკაშვილი

4 სააკაშვილი ვიტალი კლიჩკოს შეთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებას მხარდამჭერებს სთხოვს

8 „ნატოს წევრებმა თავდაცვისთვის მეტი უნდა დახარჯონ“

# „ოცნების“ წევრებს რამდენიმე ცოლის მოყვანის უფლება უნდა მიეცეთ“

## „კალაძეს ცოლისძმით აშანტაჟებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ეყრდნობა „ოცნება“ ძველ ბიჭებს, რატომ უნდა მიეცეს ჩინოსნებს რამდენიმე ცოლის მოყვანის უფლება, მობეზრდა თუ არა კალაძეს თბილისის მერობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.**

***– „ოცნება“ უკვე აღარ ერიდება იმის აღიარებას. რომ ძველი ბიჭები მათ არჩევნებზე ეხმარებიან. ამით აღშფოთებულ ოპოზიციას თბილისის საკრებულოს წევრმა, რევაზ სოხაძემ იქეთ წაუყენა პრეტენზიები – ძველი ბიჭების მიმართ კომპლექსები რატომ გაქვთო. ხელისუფლება სულ გავიდა მომსახურების ზონიდან თუ რაიმე ახალ ფენომენთან გვაქვს საქმე?***

– სერიოზული მოლოდინი მაქვს იმის, რომ თბილისის საკრებულოში მალე სკამებს აიღებენ და სხდომებს ჩაცუცქულ მდგომარეობაში გამართავენ.

წესით, ჩვენც აღარ უნდა გვიკვირდეს მათგან ასეთი განცხადებები. ეს ხალხი მიჩვეულია მოძველბიჭო ელემენტებთან თანამშრომლობას და თავადაც ასეთები არიან. მათ საუბარს თუ მოუსმენთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ერთი წელში მოხრა აკლიათ, თორემ ჩვეულებრივი ქუჩის ბიჭები არიან. ამის დამალვას არც ცდილობენ.

ასე მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი სანთლით ეძებდა ამ ძველ ბიჭებს და ვისაც რაიმე გავლება ჰქონდა ქუჩაში, ყველა სკამზე დასვა. ახლა ამ ხალხს არჩევნებში იყენებს. ყველაფერს აკეთებს, რომ სკამი შეინარჩუნოს.

***– ჟარგონისთვის ბოდიში, მაგრამ ძველი ბიჭების პოლიტიკაში ჩართვა მოსულა?***

– საარჩევნო პროცესებში ჩარევა არც ძველ ბიჭობაში ჯდება და არც ქურდულ მენტალიტეტში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესენი ძველ ბიჭებზე მეტად სუსის აგენტ-პროვოკატორები არიან.

ისინი შსს-ს და სუსის დავალებებით მოქმედებენ და მათი მითითებითვე ახდენენ ზეწოლას ამომრჩეველზე. ნამდვილი ძველი ბიჭები არც პოლიციელების გვერდით დადგებიან, როგორც ეს დღევანდელ არჩევნებზე ხდება.

ახლა ამ ძველ ბიჭებს და სინამდვილეში სუსის ნომრიან აგენტებს დავალებული აქვთ მთაწმინდაზე სპეცოპერაციის ჩატარება. სპეცოპერაციის მიზანი ლადო კახაძის პარლამენტში გაყვანაა.

ამ ადამიანთან დაკავშირებითაც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა. ის 2016 წელსაც იყრიდა კენჭს მთაწმინდაზე, მაგრამ მან მაშინ მხოლოდ 600 ხმა აიღო. გამარჯვების შანსი არც ახლა აქვს, მაგრამ მის გასაყვანად მთელი „ოცნება“, მათ შორის ძველი ბიჭებიც დაირაზმნენ.

***– ეტყობა, „ოცნებისთვის“ აუცილებელია კახაძის პარლამენტში მოხვედრა. ირაკლი კობახიძემ თქვა, შავგულიძისნაირი დეპუტატები მრავლად არიან, კახაძე კი პარლამენტს გაამრავალფეროვნებსო. რაში სჭირდებათ საკანონმდებლო ორგანოში გინეკოლოგი?***

– გინეკოლოგია ძალიან მნიშვნელოვანი და პატივსაცემი დარგია, მაგრამ პარლამენტში გინეკოლოგებმა რა უნდა აკეთონ, არ ვიცი. ასე თუ სჭირდებათ გინეკოლოგი, „ოცნების“ წევრებმა სამედიცინო დაწესებულებებში მიაკითხონ, საკანონმდებლო ორგანოს ნუ გადააქცევენ გინეკოლოგის კაბინეტად.

როგორც უკვე გითხარით, 2016 წლის არჩევნებზე კახაძემ მხოლოდ 600 ხმა აიღო, და ახლა ის თუ მოხვდა პარლამენტში, პირდაპირ ივანიშვილთან იქნება ვალდებული. მისი სახით მივიღებთ კიდევ ერთ მორჩილ დეპუტატს.

მართალია, მის გასაყვანად მთელი ადმინისტრაციული რესურსია მობილიზებული, მაგრამ თუ ამომრჩეველი იაქტიურებს, ვერც ეს რესურსი და ვერც ძველი ბიჭები ვერაფერს გახდებიან. ეგენი კი არა, ივანიშვილმა სულ უბან-უბან რომ ჩამოიაროს, ვერც ეგ შეცვლის რამეს.

***– ამომრჩევლის აქტიურობაზე დიდ იმედებს ამყარებთ და ეს აქტიურობა რას შეცვლის?***

– ყველას ვერ მოისყიდიან და ვერ დააშინებენ. ქართველი კაცი ასეთი იოლი დასაშინებელი არ არის.



***– ზემოთ იხუმრეთ, მალე საკრებულოს სხდომებს თბილისში ჩაცუცქულ მდგომარეობაში ჩაატარებენო და ასე ძველი „სასტავი“ ჰყავს „ოცნებას“?***

– ხუმრობით არ მითქვამს, ნახევრად ხუმრობა იყო. კამერების მიღმა მათ საუბარს რომ მოუსმინოთ, ჩვეულებრივი ძველი ბიჭებივით ლაპარაკობენ.

საკრებულოში ისინი საქმის საკეთებლად არ შესულან. მათი მიზანი არც თბილისელებზე ზრუნვაა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმას აკეთებენ, რასაც ზევიდან დაავალებენ.

მათი ძირითადი დავალება ასეთია, რომ თბილისის მერიიდან შემოსულ ყველა კანონპროექტზე უნდა აწიონ ხელი ანუ მხარი უნდა დაუჭირონ. ყველაფერს რომ მხარი უნდა დაუჭირონ, ისე გაითავისეს, რომ რამდენჯერმე ძალიან სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

**„საარჩევნო პროცესებში ჩარევა არც ძველ ბიჭობაში ჯდება და არც ქურდულ მენტალიტეტში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესენი ძველ ბიჭებზე მეტად სუსის აგენტ-პროვოკატორები არიან.“**

რამდენჯერმე საკრებულოში მერიიდან შემოვიდა კანონპროექტი, რომელიც საკრებულოს უნდა ჩაეგდო, მაგრამ ხელის აწევას იმდენად იყო მიჩვეული „ოცნების“ შემადგენლობა, რომ ჩასაგდებ კანონსაც კი მხარი დაუჭირა.

***– ამას სერიოზულად ამბობთ?***

– სერიოზულად ვამბობ, თან ასეთი რამე ერთხელ კი არ მოხდა.

***– მერე როგორ გამოსწორდა სიტუაცია?***

– საკრებულოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე მოუწია განმარტების გაკეთება. მან დეპუტატებს ღია ტექსტით მიმართა, ჩვენ დღეს ხმა არ უნდა მივცეთ ამ კანონპროექტს. ამ სიტყვების წარმოთქმა რამდენჯერმე უწევდა. შთააგონებდა თავისიანებს, ყველაფერზე კი ვაძლევთ ხმას, მაგრამ ამ ერთხელ უნდა მივცეთ წინააღმდეგო.

ერთ კანონპროექტზე რამდენჯერმე დასჭირდათ კენჭისყრის ჩატარება, რომ ჩაეგდოთ. ახლა წარმოიდგინეთ, რა დონის ხალხი ზის საკრებულოში, რომლებიც მერე იმის თქმას კადრულობენ, რომ ოპოზიციას ეშინია კაი ბიჭების.

***– ამ ინტერვიუს ჩაწერამდე ცოტა ხნით ადრე, კიდევ ერთხელ გაჩერდა მეტრო და კიდევ ერთხელ დაიტბორა ჟვანიას მოედანი. რით ვერ მიხედა კალაძემ მეტროს?***

– კალაძე კიდევ ცალკე მოვლენაა. ეგ კაცი ჩვეულებრივი პოპულისტია. დაუწერენ რაღაც ტექსტს, დაჯდება და იმას კითხულობს. ამ დაწერილი ტექსტის იქეთ კომენტარსაც აღარ აკეთებს. მას ხუმრობებსაც კი უწერენ. ეგ როცა ხუმრობს, იცოდეთ, რომ წინასწარ არის დაწერილი.

რაც შეეხება მეტროს, შევარდნაძის მმართველობის დროს პატარა ვიყავი და მაშინაც კი არ მახსოვს, რომ მეტროში ასეთი შეფერხებები ყოფილიყო.

თბილისის მერი ყველა მთავრობის სხდომას ტაქსებზე საუბრით იწყებს. ტაქსებს რომ მორჩება, მეტროზე გადადის და ამაყად აცხადებს, მეტროში ისეთი სიტუაციაა, როგორიც არც ერთი მერის დროს არ ყოფილაო.

***– ამას სიმართლეს ამბობს, ასეთი კატასტროფული ვითარება არც ერთი მერის დროს არ ყოფილა.***

– ასეთი კატასტროფა მართლა არასდროს ყოფილა. დღე ისე არ გავა, რომ მეტრო არ გაჩერდეს. ხან მატარებელი ფუჭდება, ხან დაკვამლიანებაა, ცოტა ხნის წინ ვნახეთ, რომ ვაგონებში წყალი ჩამოვიდა. კაბელები იწვის, ხანძარი ჩნდება, ჭერი ვარდება. ამ ყველაფრის მერე კალაძე კიდევ გამოდის და უტიფრად გვეუბნება, რომ მეტროში ყველაფერი კარგად არის.

მესმის, რომ ეს ძალიან გამაღიზიანებელია, მაგრამ ძალიან მკაცრებიც ნუ ვიქნებით თბილისის მერის შეფასებაში. ამ კაცს არ შეუძლია საქმის კეთება. ის მენეჯერი არ არის. მას მერობა უკვე მობეზრებული აქვს.

მაგის საქმეა დასვი და პიარი გააკეთებინე. 60.000 დახარჯა თავისი ფეისბუქგვერდის რეკლამაზე, საიდანაც სელფის ჯოხით გველაპარაკება.

არ შეუძლია ამ კაცს საქმის კეთება და დაანებონ თავი. ერთი პროექტი მაინც დამისახელეთ, რომელიც ამ ადამიანმა დაამთავრა.



**დიმიტრი ბიძინაშვილი: „თბილისის საკრებულოში მალე სკამებს აიღებენ და სხდომებს ჩაცუცქულ მდგომარეობაში გამართავენ“**



**„რამდენჯერმე საკრებულოში მერიიდან შემოვიდა კანონპროექტი, რომელიც საკრებულოს უნდა ჩაეგდო, მაგრამ ხელის აწევას იმდენად იყო მიჩვეული „ოცნების“ შემადგენლობა, რომ ჩასაგდებ კანონსაც კი მხარი დაუჭირა“**

***– ორბელიანის მოედანი, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიხსნა. ამ მოედნის რეაბილიტაციის გამო, სალომე ზურაბიშვილმა ის თბილისის დიდ მერებს შორის შეიყვანა.***

– ჯერ სალომე ზურაბიშვილმა მერები ჩამოთვალოს და მერე დაახარისხოს, ვინ დიდი იყო და ვინ პატარა.

რაც შეეხება ორბელიანის მოედანს, ეს პროექტი ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით გააფორმეს. ამის გამო რამდენიმე მილიონით იზარალა თბილისის ბიუჯეტმა. ამის შესახებ აუდიტის დასკვნაშიც წერია.

იქ პირდაპირ ვკითხულობთ, რომ ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში მერიას ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია რამდენიმე მილიონით ნაკლები დაუჯდებოდა.

სალომემ კი შეიყვანა კალაძე დიდი მერების სიაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ არის აღდგენილი. ექსპერტები იძახიან, რომ ეს არ იყო აღდგენა.

***– რას ნიშნავს, ეს არ იყო აღდგენა?***

– იმას, რომ ორბელიანის მოედანზე მდებარე ისტორიული ძეგლები არ აღუდგენიათ. ისინი უბრალოდ დაანგრიეს და თავიდან ააშენეს.

იმასაც შევხედოთ, რამდენი ხანი გაძლებს კალაძის აღდგენილი მოედანი. მე ვიცი, როგორ აკეთებენ ესენი საქმეებს და მაგიტომაც მაქვს კითხვები ორბელიანის მოედანთან.

მისი აღდგენა რამდენიმე მილიონით ძვირი რომ დაგვიჯდა, ამაზე აუდიტის სამსახური ლაპარაკობს.

საზეიმოდ გახსნა ბევრს არაფერს ნიშნავს. ხარისხზე მოგვიანებით ვისაუბროთ. რამდენიმე წლის წინ, ნარმანიამაც ზარ-ზეიმით გახსნა ზაჰესის ხიდი, ძალიან მალე ეს ხიდი ჩაინგრა.

***– ქობულეთის დასუფთავების სამსახურის უფროსმა თავისი ცოლისძმა დაასაქმა. როდესაც ამაზე ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა, გადაირია და უყვირა, აბა შენ ცოლისძმას ხომ არ დავასაქმებდიო. ჩემი აზრით, ეს ქოცური ჟანრის კლასიკა იყო, თქვენ რა შეფასებას მისცემთ?***

– ამ კაცმა ნათლად გვაჩვენა „ქართული ოცნების“ ნამდვილი სახე. ეს კაცი სხვებთან შედარებით ალალი აღმოჩნდა, ღიად თქვა, ჩემს ცოლისძმას დავასაქმებდი, სხვისას ხომ არაო.

სხვა ჩინოსნებსაც სულ თავისი ნათესავები ჰყავთ დასაქმებული. უბრალოდ ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

***– „ოცნების“ წევრები განსაკუთრებით ცოლის ნათესავებს სწყალობენ და ძირითადად მათ ასაქმებენ.***

– ეტყობა, უნდათ, რომ კარგი სიძეების სახელი ჰქონდეთ. ქობულეთის დასუფთავების სამსახურის უფროსს ერთ რჩევას მივცემდი. საშუალება თუ აქვს, კარგი იქნება თუ კიდევ მეორე ცოლს მოიყვანს.

ისეთ ქალზე უნდა შეაჩეროს ყურადღება, რომელსაც რამდენიმე ძმა ეყოლება. ამით ძალიან მარტივად მოაგვარებს იმ საკადრო პრობლემებს, რომელიც მერიაში აქვს მას.

***– საკადრო პრობლემები აქვს მაგ კაცს?***

– კომენტარში თქვა, რომ კიდევ რამდენიმე ადგილია თავისუფალიო და სასწრაფოდ ახალი ცოლი უნდა მოიყვანოს.

და საერთოდ, „ოცნების“ წევრებს რამდენიმე ცოლის მოყვანის უფლება უნდა მიეცეთ. ასე უფრო ბევრი ცოლეური ეყოლებათ და ბევრ ადამიანს დაასაქმებენ და ქვეყანაც აგუგუნდება.

***– ცოლის ნათესავებს სხვებიც ასაქმებდნენ, მაგრამ ცოლისძმის დასაქმებას საფუძველი კახა კალაძემ ჩაუყარა. ის ჯერ კიდევ ენერგეტიკის მინისტრი იყო, როცა ცოლისძმა თბილისის მერიაში საქალაქო სამსახურის უფროსად გაამწესა.***

– კალაძე ამ საკითხში ძალიან ნიჭიერი აღმოჩნდა. გაუშვა ცოლისძმა საქალაქო სამსახურის უფროსად, ისიც შეუდგა საქმეს და მასზე დღემდე საქმეა აღძრული. სუსი დღემდე ამ საქმით აშანტაჟებს კალაძეს. თუ ისე არ მოიქცევა, როგორც საჭიროა, ამ საქმეს გადმოუღებენ და მასაც მოსთხოვენ პასუხს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „დღეს სააკაშვილი ქართველი პოლიტიკოსიცაა და უკრაინელიც“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო დავით, მიხეილ სააკაშვილმა ვიტალი კლიჩკოსგან შეთავაზება მიიღო, რომ მის პარტიას უხელმძღვანელოს. როგორც სააკაშვილი აცხადებს, ახლა გადაწყვეტილების მიღების პროცესშია. როგორ ფიქრობთ, ის უკრაინულ პოლიტიკას დაუბრუნდა?***

— ერთი შემიძლია გითხრათ, მიხეილ სააკაშვილი არის მნიშვნელოვანი ფიგურა ზოგადად პოლიტიკაში და ამის დადასტურება არის კლიჩკოს შეთავაზებაც სააკაშვილისადმი.

***— ოდესის გუბერნატორობის დროს მან ვერ შეძლო, დაპირისპირებოდა კლანს, დაემარცხებინა კორუფცია. ამჯერად თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

— ეს ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ მე შემიძლია იგივე გავიმეორო, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზოგადად გლობალურ პოლიტიკაში და ეს ჩანს თუნდაც უკრაინელი პოლიტიკოსების მისდამი ინტერესიდანაც.

წარსულში რაც იყო, ეს უკვე წარსულია. ახლა უკრაინაში სულ სხვა პოლიტიკური რეალობაა. ამ რეალობის გათვალისწინებით მიხეილ სააკაშვილსაც ეძლევა კიდევ ერთი შანსი და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ის ამ შანსს და როგორ განვითარდება მოვლენები.

***— დღეს მიხეილ სააკაშვილი უფრო უკრაინელი პოლიტიკოსია თუ ქართველი?***

— ორივე.

***— ზელენსკის გადაწყვეტილებაზე მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით რას იტყვით,***



***თბილისში არაერთგვაროვანია პოზიციები.***

— ზელენსკიმ მისი ეს გადაწყვეტილება ახსნა, თქვა, რომ უსამართლოდ ჰქონდა ჩამორთმეული და დაუბრუნდა მოქალაქეობა, მეტი არაფერი.

***— ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა მთელ „ქართულ ოცნებას“ ერთი მიხეილ სააკაშვილი ამჯობინა, რომ ეს დიპლომატიურობიდან გადახვევა იყო. თქვენც ასე თვლით?***

— უკრაინული პოლიტიკური სპექტრის ძალიან დიდი ნაწილი თვლიდა, რომ მიხეილ სააკაშვილს უსამართლოდ ჰქონდა ჩამორთმეული მოქალაქეობა და ეს უსამართლობა ზელენსკიმ გამოასწორა. რა შუაშია აქ „ქართული ოცნება“ ან არადიპლომატიური ნაბიჯი?! თუ „ქართული ოცნება“ იგნორირებულად თვლის თავს, მე არ მეწყინება.

***— პრემიერ ბახტაძისა და ზელენსკის შეხვედრაზე რა შეგიძლიათ თქვათ? ბახტაძე შეერთებულ შტატებში ვიზიტით მიფრინავდა, თუმცა ცნობილი გახდა, რომ გავლით ჩავიდა ბრიუსელში. ზელენსკიმ მოგვიანებით თქვა, რომ ტელეფონები გაცვალეს.***

— თუ სადმე დიპლომატიურობა, ეტიკეტი მოიკოჭლებს, ეს არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში. თუ რაიმე სახის დიპლომატიურობის დარღვევა იყო, ეს იყო სწორედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ეს ყველაფერი მინიმუმ არის სასაცილო, მაქსიმუმ კი აღმაშფოთებელია.

თუ ეს ვიზიტი კერძო იყო, როგორც გვეუბნებიან, მაშინ შეიძლება მომავალში ვიღაცებისთვის გამოძიების ინტერესი გახდეს, თუ რა მიზნით დაჯდა ამერიკაში მიმავალი პრემიერის თვითმფრინავი ბრიუსელში.

***— თუ პატარა ქვეყნის ლიდერი ცდილობს ახლად არჩეული დიდი სახელმწიფოს ლიდერის გაცნობას, მასთან შეხვედრას მეგობრობის გაგრძელების სურვილით?***

— ეს სხვანაირად კეთდება და არა ასე. ამას პროფესიონალები აკეთებენ ისე, რომ სახელმწიფოს ინტერესები არ შეილახოს და არც პრემიერის. ზელენსკის პრეს-სპიკერმა თქვა, რომ მათთვის ეს შეხვედრა ცნობილი არ იყო, მეტიც, მოულოდნელი იყო. ასეთი შეხვედრებით არ ხდება ქვეყნებს შორის მეგობრობის გაგრძელება და გაღრმავება.

***— შიდა პოლიტიკურ პროცესებზე მაინტერესებს თქვენი პოზიცია. ხორავას ქუჩის ტრაგედია არის ერთ-ერთი მთავარი თემა. გახარიამ რატომ მიიღო ახლა კალანდიას დაკავების გადაწყვეტილება?***

— გახარიამ მიიღო თუ მიაღებინეს? მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველა გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში, ივანიშვილთან თანხმდება.

***— ეს გადაწყვეტილებაც?***

— ალბათ, არ გამოვრიცხავ. არ ვიცი, გახარიამ ურჩია ბიძინა ივანიშვილს თუ ვინ, რომ ჩათრევას ჩაყოლა ჯობია. მთლიანობაში ისეთი პირი უჩანს, ფაქტიურად აღიარეს, რომ საქმის გამოძიება დანაშაულებრივად მიდიოდა. მეორე ნაბიჯი სწორედ სამოხელეო დანაშაულის გამოძიება უნდა იყოს.

***— ელოდებით?***

— „ქართული ოცნების“ იმიჯი ძალიან დაზიანდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. თუ რაღაცნაირად, ოდნავ მაინც უნდათ ამ



იმიჯის შემობრუნება, მაშინ ეს ნაბიჯი უნდა გადადგან.

***— ამბობენ, რომ შეიძლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს და იმიჯის გამოსწორებას ცდილობენ. შეიძლება არჩევნების ეშინოდეთ?***

— დიახ, არ გამოვრიცხავ, რომ საპარლამენტო არჩევნების ეშინოდეთ, რომლის მანიპულაცია, ფალსიფიკაცია სულ უფრო და უფრო გაძნელდება. მთაწმინდაზე ცდილობენ უკანონო მეთოდების გამოყენებას, მაგრამ საერთო ეროვნული მასშტაბის არჩევნების დროს ეს ბევრად უფრო რთული იქნება.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი არის საერთაშორისო დონეზე, ევროპელებისგან და ამერიკელებისგან რა რეაქციები მოდის.

თუ ივანიშვილს წარმოუდგენია, რომ მთვარეზე ცხოვრობს და არაფერი მასზე გავლენას არ ახდენს, ძალიან ცდება, მაგრამ, მგონი, ასე არ ფიქრობს.

# დავით ზურაბიშვილი: „ნაციონალებთან წარსულის შეფასებაში ბევრი უთანხმოება გვაქვს, მაგრამ მაინც უნდა ვითანამშრომლოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

კიევის მერი ვიტალი კლიჩკო საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მისი პარტიის „უდარის“ თავმჯდომარეობას სთავაზობს.
რა პერსპექტივა აქვს სააკაშვილს და კლიჩკოს ერთად და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სააკაშვილი ისე აქტიურად აღარ იქნება ჩართული ქართულ პოლიტიკურ პროცესებში? – ამ და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.

***— ვიტალი კლიჩკომ სააკაშვილს შესთავაზა მისი პარტიის თავმჯდომარეობა, რაც სააკაშვილმა მოიწონა. რა პერსპექტივას ხედავთ ამაში და რამდენად შესწევს პარტიას უნარი, წარმატებას მიაღწიოს საპარლამენტო არჩევნებში?***

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან მე მაინცდამაინც არ ვარ მაგის სპეციალისტი. არ ვიცი დეტალები უკრაინის შიდა პოლიტიკის და, მართალი გითხრათ, დიდი ინტერესიც არ მაქვს.

ეს საკითხი უკრაინაზე მეტად საქართველოში აწუხებთ. ჩვენთან უფრო დიდი ინტერესია სააკაშვილი რას იზამს. დაინიშნება თანამდებობაზე, არ დაინიშნება, დათანხმდება შეთავაზებას თუ არ დათანხმდება. ნამეტანი ბევრი ლაპარაკია ამაზე, რა ვიცი, ვნახოთ.

***— სააკაშვილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტია და ინტერესი იქნება, შესაძლოა გადამეტებულიც.***

— არა, ჩემი აზრით, ზედმეტად დიდი ინტერესია. მართალი გითხრათ, არც ვიცი დეტალები და ინტერესიც არ მაქვს.

***— საქართველოზე არავითარ გავლენას არ მოახდენს?***

— არანაირს. რა გავლენაც ახლა აქვს, დაახლოებით ასეთი ექნება, ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები შეიძლება ჰქონდეს. არსებით ცვლილებას არ მოახდენს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

***— ბახტაძის ზელენსკისთან შეხვედრა რას ნიშნავს თქვენთვის?***

— გააჩნია, რაზე ილაპარაკეს. უკრაინა სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენ ბევრი საერთო ინტერესები გვაქვს, საერთო მტერი გვყავს და თავისთავად ზელენსკისთან შეხვედრაში არაფერი გასაკვირი არ არის, პირიქით, ასეთი ურთიერთობები ინტენსიური უნდა იყოს. იქ თუ სააკაშვილზე ილაპარაკეს, რისი ეჭვიც არსებობს, ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, იყო რჩევები ჩვენი ხელისუფლებისგან, რომ არ გინდა, ცუდი კაცია და რაღაცა, ეს სხვა თემაა. რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ სააკაშვილის ფაქტორს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში, მით უკეთესია.

***— აზრთა სხვადასხვაობა გქონდათ ნიკა გვარამიასთან, როდესაც ადეიშვილის შესახებ ის ცნობილი პოსტი გამოაქვეყნეთ, როდესაც თქვით,***



***რომ დამნაშავეა ყოფილი მთავარი პროკურორი.***

— არა, არა მარტო მაგ საკითხზე, გვარამიასთანაც და ნაციონალურ მოძრაობასთან ძალიან ბევრ საკითხში გვაქვს განსხვავება. საერთოდ, პოლიტიკური პარტიები იმიტომ არსებობენ და განსხვავებული პოლიტიკური ძალები იმიტომ არიან, რომ რაღაცებზე ჰქონდეთ განსხვავებული პოზიციები.

მე ზუსტად იგივე პოზიციებზე ვარ, რაზეც ადრე ვიყავი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს თანამშრომლობის მომენტებს. იმიტომ, რომ ჩვენ ნაკლებად უნდა ვიყოთ დაკავებული წარსულით და ორიენტირებულები უნდა ვიყოთ აწმყოსა და მომავალზე.

დღეს რაც ხდება და დღეს საითაც მიჰყავს ჩვენს ხელისუფლებას ქვეყანა, იმ ძალებმა, რომლებსაც მეტ-ნაკლებად პროდასავლური ორიენტაცია აქვთ და საქართველო წარმოუდგენიათ სამომავლოდ განვითარებულ ქვეყნად, წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, რაღაცა საერთო ენა უნდა გამონახონ.

***— საბოლოოდ გამონახეთ საერთო ენა თქვენ და ნიკა გვარამიამ?***

— ჩემსა და ნიკა გვარამიაზე არ არის პერსონალურად საუბარი. როგორც გითხარით, აქ საუბარი არ არის პერსონალურად ჩემსა და ნიკა გვარამიაზე, აქ საუბარია ფუნდამენტურ საკითხებზე. წარსულის ქექვას თუ დავიწყებთ, პირდაპირ გეტყვით, რომ ვერ გამოვნახავთ საერთო ენას ძალიან ბევრ რაღაცაში, მაგრამ აწმყოს შეფასებასა და სამომავლო ხედვებთან დაკავშირებით ვალდებულები ვართ, რომ არა მარტო ჩვენ – ნაციონალურმა მოძრაობა და რესპუბლიკელებმა, არამედ ოპოზიციური სპექტრის ბევრმა პარტიამ და საზოგადოებამ რაღაცნაირად გამონახოს საერთო ენა აწმყოს შეფასებაში და სამომავლო ხედვებთან დაკავშირებით.

წარსულთან დაკავშირებით არა მარტო ერთ საკითხში, არამედ ასიდან 70 საკითხში საერთო ენას ვერ გამოვნახავთ.

***— მიმდინარეობს ინტენსიური საუბრები?***

— ინტენსიური საუბრები არ მიმდინარეობს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, კონსულტაციები მიმდინარეობს ყველასთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობასთანაც.

ახლა იქნება შეხვედრა პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით, სადაც სრულიად ოპოზიციური სპექტრი ვთანამშრომლობთ. თუნდაც იგივე შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი შალვა შავგულიძეს მხარს უჭერს.

***— რა მოლოდინი გაქვთ მეორე ტურთან დაკავშირებით?***

— ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დამოუკიდებელი იქნება ოპოზიციური ელექტორატი. თუ აქტიური იქნება, მაშინ შალვა შავგულიძის გამარჯვების შანსი დიდია. ხელისუფლებას აქვს ის უპირატესობა, რომ მას შეუძლია მიიყვანოს თავისი ამომრჩეველი მასობრივად, თუმცა თუ ოპოზიციური ამომრჩეველი იაქტიურებს, რა თქმა უნდა, შავგულიძეს გაცილებით მეტი შანსი აქვს. შევხედოთ კანდიდატებს – შავგულიძეს და კახაძეს. ამომრჩეველს რომ ჰკითხოთ, დარწმუნებული ვარ, ათიდან 9 შავგულიძეს დაუჭერს მხარს.

***— ეპიცენტრი ზუგდიდიდან მთაწმინდაზე გადმოვა?***

— არ ვიცი. მთაწმინდის არჩევნები მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, მაგრამ ვნახოთ, როგორ ჩაატარებენ.

არჩევნების სათავისოდ უზრუნველყოფას ახდენს ხელისუფლება დაახლოებით 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან. 2008 წლის შემდეგ დაიხვეწა ეს და ამომრჩეველზე ზემოქმედება ხდება უშუალოდ არჩევნების დღემდე. ნაკლებად ხდება მაიმუნობები, მაგრამ მასობრივად ხდება საარჩევნო უბნებთან კოორდინატორების, ვიღაცა „ძველი ბიჭების“ და „ელიტარული ელემენტების“ თავშეყრა, რომლებმაც უნდა შეამოწმონ, მოდის თუ არა ის ხალხი, ვინც წინასწარ არის შეგულებული. ეს ხდება, მაგრამ იმას, რაც ადრე ხდებოდა – ყუთის გატაცებები, დამტვრევები და ასეთი რაღაცები – არ ველოდები.

## აეროპორტის გზატკეცილზე 6 ივნისიდან 1-ელ აგვისტომდე მოძრაობა ნაწილობრივ აიკრძალება

თბილისში, ევროპის ქუჩაზე (აეროპორტის გზატკეცილზე) გზის სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 6 ივნისის 11:00 საათიდან 31 ივლისის ჩათვლით, ავტოტრანსპორტის მოძრაობა ნაწილობრივ აიკრძალება, ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ცნობით, სამუშაოები განხორციელდება საავტომობილო გზის ჯერ ერთ მიმართულებაზე – ქალაქის ცენტრიდან აეროპორტის მიმართულებით, რა დროსაც მეორე ზოლი გახდება ორმხრივი.



აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოძრაობა აიკრძალება გზის მეორე ზოლზე – აეროპორტიდან ქალაქის მიმართულებით, რა დროსაც მოძრაობა გადაერთვება უკვე რეაბილიტირებულ გზაზე ორმხრივად.

# ივანიშვილის მორიგი სამიზნე გოგაშვილია

შორენა მარსაგიშვილი

ურმით მოსიარულე სამართალმა, შეიძლება მაჩალიკაშვილების ოჯახამდეც მიაღწიოს.

პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლული 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლები მეათე თვეა, პარლამენტის წინ მდებარე კარვებში ცხოვრობენ და სამართალს ითხოვენ.

შვილმოკლული მშობლები სუსის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის დასჯას ითხოვენ. გოგაშვილი ამჟამად პარტია „ქართულ ოცნებაშია" დასაქმებული. სწორედ იქედან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ სუსის უფროსის ყოფილი მოადგილე შეიძლება პასუხისგებაში მისცენ.

ამ ადამიანის საქმე რომ კარგად არ მიდის, ეს მეოცნებეთა პოზიციიდანაც კარგად ჩანს. ისინი გოგაშვილის მხარდამჭერ განცხადებებს აღარ აკეთებენ.



არადა, რამდენიმე კვირის წინ მასთან დაკავშირებით სკანდალური ამბავი გვამცნეს. სუსი იუწყებოდა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილი გოგაშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობას აპირებდა. ტერაქტი ყოფილი ძალოვანის მამის საფლავზე უნდა განხორციელებულიყო. ამის დამადასტურებლად მოგვასმენინეს შვილმოკლული მამის საუბრის ჩანაწერიც.

ამ ამბავს ხელისუფლებაში დიდი წიოკი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მეოცნებემ დაუჭირა გოგაშვილს მხარი. ისიც მხოლოდ რამდენიმე დღით.

პანკისში ჩატარებულ ოპერაციასთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს ყოფილი მაღალჩინოსანი. ამის მიუხედავად, „ოცნების" კულუარებში აქტიურად მიდის საუბარი მის შესაძლო დაკავებაზე.

ეს მითქმა-მოთქმა 4 ივნისს მიხეილ კალანდიას დაკავების შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა. ამ დაკავების შემდეგ კიდევ ერთმა შვილმოკლულმა მამამ, ზაზა სარალიძემ, თქვა, რომ სამართლიანობა აღდგა. ზაზა სარალიძე კალანდიას დაკავებას 1,5 წელი ითხოვდა.

აღსანიშნავია, რომ სარალიძე და მაჩალიკაშვილი თვეების მანძილზე ერთად იყვნენ რუსთაველზე.

როგორც „ოცნებასთან" დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან" საუბარში ამბობს, ბიძინა ივანიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ სარალიძის და მაჩალიკაშვილის საქმეები მოგვარდეს.

ორივე საქმე რამდენიმე ანგარიშში მოხვდა, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში. „ოცნების" ლიდერს ყველაზე მეტად სახელმწიფო დეპარტამენტი ადარდებს.

პარტია „ქართული ოცნების" ლიდერი ამერიკელებმა უკვე რამდენჯერმე გააფრთხილეს და სანამ წითელ ბარათს უჩვენებენ, ივანიშვილი რაღაცების გამოსწორებას შეუდგა.

მმართველი გუნდის კულუარებში ამბობენ, რომ მან კატეგორიულად მოითხოვა რუსთაველიდან კარვების გაქრობა.

მაჩალიკაშვილებს იქედან ძალის გამოყენებით ვერ გაიყვანენ. ამას სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვება. ნათია თურნავას და მასთან დაკავშირებული მეჰესეების გამო ხელისუფლებას პანკისელებთან ისედაც დაეძაბა ურთიერთობა. ასე რომ, მაჩალიკაშვილების წინააღმდეგ ძალას არავინ გამოიყენებს.

## იპოვის თუ არა სამართალს მალხაზ მაჩალიკაშვილი

შვილმოკლულ მშობლებს ნათქვამი აქვთ, რომ მხოლოდ მაშინ დატოვებენ კარვებს, როცა სოსო გოგაშვილი დაისჯება.

გოგაშვილის დასჯა „ოცნებაში" ვიღაცებს ძალიან უნდათ. მათ მაჩალიკაშვილების ამბავი ნაკლებად ადარდებთ. მთავარია, ყოფილი მაღალჩინოსანი განეიტრალდეს, რომელმაც სუსში მუშაობისას ძალიან ბევრი ინფორმაცია მოაგროვა.

მისი დაჭერის შემთხვევაში მაჩალიკაშვილები პროტესტს შეწყვეტენ. დასავლელ პარტნიორებთან ივანიშვილი ამაყად იტყვის, რომ ორივე გახმაურებული საქმე გამოძიებულია.

სამართლიანი კაცის იმიჯი მას ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს. წინ საპარლამენტო არჩევნებია, რომლის მოგებაც „ოცნებას" ძალიან გაუჭირდება – მთავრობაში იციან, რომ ისეთ გაყალბებაზე ველარ წავლენ, რაც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში იკადრეს.

მართალია, ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ აშშ-მ აქ მისთვის არასასურველი ელჩი ვერ დანიშნოს, მაგრამ მისი ჩინოსნები ნოტაციების მოსმენას მაინც ვერ ასცდნენ.

შემთხვევითი არ არის, რომ მთავრობის წევრები ერთმანეთის მიყოლებით ჩავიდნენ ამერიკაში.

აპრილში იქ ყველაზე გავლენიან მინისტრ გიორგი გახარიას უხმეს. ქვეყნის მთავარმა შერიფმა იქ ერთ კვირაზე მეტი გაატარა. მის ვიზიტთან დაკავშირებით დღემდე არ გაკეთებულა ოფიციალური განცხადება.

ბევრად უფრო გამჭვირვალე იყო თავდაცვის მინისტრის ჩასვლა ვაშინგტონში. ლევან იზორიამ იქ სერიოზული ხელშეკრულება გააფორმა და ამით პოზიციები გაიმყარა.

„ოცნებაში" დიდი ხანია, მიდის საუბარი მის მოხსნაზე. მისი სავარაუდო შემცვლელიც დასახელებული იყო, მაგრამ ამერიკაში გაფორმებული შეთანხმების შემდეგ, მას ასე იოლად ველარ მოხსნიან. სხვა თუ არაფერი, ერთ მინისტრზე მაინც უნდა ითქვას, რომ აშშ-სთან არის დაახლოებული.



გახარიას მსგავსად, ვაშინგტონიდან ინსტრუქციებს იზორიაც ჩამოიტანდა. ივანიშვილი თეთრი სახლის გზავნილებს ახლა მამუკა ბახტაძის პირით მიიღებს. მთავრობის მეთაური უკვე გაფრინდა ამერიკაში, მანამდე კი ბრიუსელში ჩავიდა, სადაც უკრაინის ახალი პრეზიდენტი დაიმარტოხელა და ტელეფონის ნომერი გამოართვა. თავად ვოლოდიმირ ზელენსკიმ უთხრა ჟურნალისტებს – მე და საქართველოს პრემიერმა ტელეფონის ნომრები გავცვალეთო.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა ბახტაძე, აშშ-ის პრეზიდენტთანაც გაცვალოს ტელეფონის ნომრები.

# რა შეკითხვებს დაუსვამს რომან კაკულია ნათია თურნავას

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელი რომან კაკულია „კომერსანტთან" იმ კითხვებს ამხელს, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ, ნათია თურნავას 7 ივნისის საკომიტეტო მოსმენაზე დაუსვამს.





როგორც ცნობილია, პარლამენტში მინისტრი 4 თემის ირგვლივ ისაუბრებს. 1. ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა; 2. ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა; 3. 2019 წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენები; 4. „გაზპრომთან" გაფორმებულ ხელშეკრულება.

როგორც კაკულია განმარტავს, ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა, საბოლოოდ კარგად მოგვარდა, მაგრამ ეს თემა განსახილველია. ასევე, მნიშვნელოვანია „გაზპრომთან" გაფორმებული ხელშეკრულება, კაკულიას სურვილია გაიგოს როგორია ეკონომიკის სამინისტროს პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით.

შემდეგი კითხვა, რომელსაც რომან კაკულია ეკონომიკის მინისტრს დაუსვამს – სიღარიბეა. მისი ინფორმაციით, ეს ქვეყნისთვისთვის მთავარი გამოწვევაა და სურს იცოდეს რა ინსტრუმენტებს ფლობს მთავრობა მის დასაძლევად.

– ამაზე ახლა საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს უჭირს კონკრეტული პასუხების მოსმენა და ცხადია, არ გვაქვს ილუზია, რომ ნათია თურნავამ უნდა ამოხსნას და გადაჭრას გლობალურ ეკონომიკაში ეს პრობლემა. თუმცა, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს და რა ხედვები აქვს, ეს ჩემთვის ძალიან საინტერესოა, – აღნიშნავს კაკულია.

რაც შეეხება ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას. კაკულიას განმარტებით, ეს თემა ოპერატორი კომპანიის მხრიდან გასაჩივრდება თუ არა, ეს სხვა საკითხია. თუმცა, ეს იყო ლოგიკური მანამდე, ახლა მას არსებული პროცესების გაგრძელება აინტერესებს.

– როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ერთ-ერთ ჩინოვნიკს მოუვიდა თავში ის, რომ პროცესი შეუთანხმებლად განახორციელოს? მით უმეტეს, ეს პიროვნება არ გამოირჩეოდა გადაწყვეტილებების მიღების დროს ორიგინალურობით. ეს ნიშნავს იმას, რომ მან ლოგიკურად ჩათვალა, რომ ეს არის პროცესი, რომელიც დიდი ხნის წინ არის დაწყებული და რომელიც მიმდინარეობს. საინტერესოა, ნათია თურნავამ აგვიხსნას, პროცესის რა მიმდინარეობასთან გვქონდა საქმე. საინტერესოა, ამ პროცესის დაწყების მომენტში სად პოზიციონირებდა ანაკლიის პორტი? აქ თუ ლაპარაკია იმაზე, რომ თუ ფოთის პორტი ვერასოდეს გაწვდება ისეთი მასშტაბის გემებს, რომლის პერსპექტივაც არის ანაკლიაში, ეს იქნებოდა ერთადერთი გასაგები პასუხი და ახლა იმისა, რომ აუცილებელია განვითარდეს ფოთიც. შედეგად, ის ტვირთების გარკვეულ კატეგორიას მიიღებს, – აცხადებს კაკულია.

მისი განმარტებით, თუ ამას პასუხი გაეცემა, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და დალაგდება. როგორც კაკულია განმარტავს, დიდი ხნის განმავლობაში დაფარული არაფერი ყოფილა. ამიტომ, დეპუტატი გამჭირვალე პოლიტიკის მომხრეა და იმედი აქვს, რომ მთავრობას ამაზე პასუხი ექნება.

– უბრალოდ, არ უნდა შეგვეშინდეს იმისი, თუ რას იტყვის ოპოზიცია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რას იტყვის საზოგადოება, – აღნიშნავს კაკულია.

შემდეგი კითხვა, რომელსაც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელი ეკონომიკის მინისტრს დაუსვამს, 2019 წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენები და ჰესების მშენებლობაა.

მისი განმარტებით, ჩვენ ვერ გავექცევით იმას, რომ რაღაც ეტაპზე კოორდინაციის ნაკლებობა იყო. დეპუტატი თვლის, რომ ამ თემას სჭირდება სააშკარაოზე გამოტანა და სიმართლის დადგენა. ეს კი არ უნდა მოხდეს მხოლოდ იმის შიშით, თუ რას იტყვის ოპოზიცია.

– საზოგადოებას უნდა ავუხსნათ რეალურად რასთან გვქონდა საქმე და საზოგადოება ობიექტურ მიზეზებს აუცილებლად გაიგებს. თუ მცირე ჯგუფებმა შეძლეს პროვოცირება, ესე იგი მთავრობას ან ინვესტორს რაღაც გამოეპარათ ხომ? ალბათ ქალბატონ ნათიას ეს პროცესი ყველაზე ნაკლებად ეხება, მაგრამ შეიძლება ამ თემის გაშლა და მისგან პასუხების მიღება, – აღნიშნავს კაკულია.

**კომერსანტი**

# სააკაშვილი ვიტალი კლიჩკოს შეთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებას მხარდამჭერებს სთხოვს




საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ვიტალი კლიჩკოს შეთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებას მხარდამჭერებს სთხოვს. ვიდეომიმართვაში სააკაშვილი აღნიშნავს, მის პარტიას, „ახალი ძალების მოძრაობას" ხელოვნური ბარიერები ჯერ კიდევ ექმნება რეგისტრაციის მხრივ და შესაძლოა, მისმა პარტიამ ვადამდელ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღოს. ამიტომ სააკაშვილმა დახმარებისთვის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს მიმართა. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ვიდეომიმართვაში ვიტალი კლიჩკოს პიროვნებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ის ღირსეული ადამიანი და მისი ძველი მეგობარია.

– თუ წავალთ „უდარში", ამ შეთხვევაში ამ პარტიის შეცვლა მოგვიწევს ფუნდამენტურად. პირველ რიგში იქ ბევრი ადამიანია, რომლებიც ბოლო მომენტამდე პოროშენკოსთან იყვნენ. ამიტომ, მე მგონია, რომ თუ ერთად წავალთ, ამ ადამიანებისგან უნდა გავთავისულდეთ, რომლებიც ბოლო წუთამდე პოროშენკოს ლოიალურად ემსახურებოდნენ. იქ ასევე არიან გარკვეული ადამიანები, რომლებიც დაკავშირებულები არიან კორუფციასთან და მათგანაც უნდა გავთავისუფლდეთ და უფრო მეტიც, მივაღწიოთ მათ ციხეში გაშვებას. ესეც გარკვეული წინაპირობაა განახლებისა და ახალი გაერთიანების, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება მეორე გზას, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ამ გზის არჩევის შემთხვევაში დიდი ალბათობით „ახალი ძალების მოძრაობა" არჩევნების მიღმა აღმოჩნდება.

– არის კიდევ მეორე ვარიანტი. თუ ამ წინადადებას არ ვიღებთ და ამ არჩევნებზე არ მივდივართ, მაშინ ჩემი გუნდი, „ახალი ძალების მოძრაობა", შეიძლება ყველა არჩევნების მიღმა აღმოჩნდეს. ესეც არჩევანია, მაგრამ მე მესმის, რომ პრეზიდენტ ზელენსკის ახლა დახმარება სჭირდება, მათ შორის პარლამენტში, ასევე ახალი კადრებით. იმისთვის, რომ დავეხმაროთ, აუცილებელია მხოლოდ პასიური დამკვირვებლები არ ვიყოთ, არამედ მონაწილეობა უნდა მივიღოთ პროცესში, – განაცხადა სააკაშვილმა.

კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს და ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილს მისი პარტიის ხელმძღვანელობა შესთავაზა.

# რუსეთი საქართველოს ახლებურად ემუქრება

## რუსი ექსპერტები აფხაზეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში გადასვლას პროგნოზირებენ

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის ახალი ეკლესიის აღიარება სხვადასხვა ავტოკეფალური ეკლესიის მხრიდან ისევ ბუნდოვანია.

გადაწყვეტილება უკრაინის საკითხზე არც საქართველოს საპატრიარქოს მიუღია. რუსი ექსპერტების ინფორმაციით, ამ დღეებში საქართველოს წმინდა სინოდი თავის მორიგ სხდომაზე ამ თემას ისევ მიუბრუნდება.

ამასთან, ექსპერტები საუბრობენ ზეწოლაზე საქართველოს საპატრიარქოს მიმართ. ისინი ირწმუნებიან, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე ზემოქმედებს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, რომელმაც მიანიჭა ტომოსი უკრაინის ახალ ეკლესიას. კონსტანტინეპოლის გზავნილი ასეთია – თუ საქართველო ამ საკითხში გვერდით არ დაუდგება კონსტანტინეპოლს, შესრულდება აფხაზების თხოვნა. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონის წარმომადგენლებმა მიმართეს კონსტანტინეპოლს, მიიღოს აფხაზეთის ეკლესია ავტონომიის სტატუსით თავის დაქვემდებარებაში.

რუსი ექსპერტების სიტყვებით, თუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, სერიოზულ პრობლემებს წააწყდება. ამას მოჰყვება ბერძნების შესვლა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის იურისდიქციად მიიჩნევს.

მათი ინფორმაციით, უკრაინის ეკლესია შეიძლება ელადის ეკლესიამ აღიაროს. დანარჩენი მართლმადიდებელი სამყარო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

ამას ხელს უწყობს განხეთქილება უკრაინის ეკლესიაში. ახალი ეკლესია შეიქმნა კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და უკრაინის ავტონომიური ეკლესიის ბაზაზე. მათ მეთაურებს – ფილარეტსა და ეპიფანეს – ერთმანეთთან უთანხმოება აქვთ. დაპირისპირება გაღრმავდა საპრეზიდენტო არჩევნებში პოროშენკოს დამარცხების შემდეგ.

ამერიკელი ექსპერტები იმედოვნებენ, რომ საეკლესიო კრიზისს უკრაინაში ახალი პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი მოაგვარებს.

საეკლესო კრიზისი, როგორც ირკვევა, უკრაინელ მომლოცველებს აზარალებს. ათონის წმინდა მთაზე მათ, სხვა დოკუმენტების გარდა, მოეთხოვებათ ცნობები იმის თაობაზე, რომ ისინი კანონიკურ ეკლესიას წარმოადგენენ.



როგორც ჩანს, ამ პრობლემებმა აფხაზეთში უკვე იჩინა თავი. ოკუპირებულ რეგიონში რელიგიური გაურკვევლობა აქამდეც არსებობდა. აფხაზეთიდან, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნება, გამოდევნილი არიან სასულიერო პირები. რუსეთის საპატრიარქო ოფიციალურად აღიარებს, რომ აფხაზეთი საქართველოს ეკლესიას ეკუთვნის. რეალურად, მოსკოვი არღვევს წესებს და იქ მოქმედებს როგორც ფარულად, ისე ყველას დასანახად.

იქაური მორწმუნეების ნაწილი, ბესარიონ აპლიას მეთაურობით, რუსეთის პატრიარქს ექვემდებარება, ნაწილი კი, დოროთე დბარის ხელმძღვანელობით, თავს კონსტანტინეპოლის ნაწილად თვლის.

ეს ჯგუფები ერთმანეთს აპრილში უფრო მძაფრად დაუპირისპირდნენ. აპლია აპრილში ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსს ეწვია და იქ მოღვაწე დბარს მოუწოდა, მოენანიებინა თავისი განდგომა რუსეთის პატრიარქ კირილის წინაშე. დბარმა ამის პასუხად ერთობლივი წირვის ჩატარება შესთავაზა. მაგრამ, ამაოდ. კონფლიქტი დამთავრდა ათონის კომპლექსის დახურვით. იქ არსებულ სავანეში აგრძელებენ საქმიანობას ბერები, თუმცა იქ აღარ უშვებენ მრევლს და ტურისტებს.

უკრაინის ეკლესიის საკითხი, დიდი ალბათობით, კარგა ხანს იქნება ბუნდოვანი, სხვადასხვა ავტოკეფალური ეკლესია კი არ იჩქარებს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას.

# ჯემალ გამახარია: „დევნილებისთვის ჩამორთმეული ქონება არავინ არ უნდა შეიძინოს“

გულიკო ბალაძე

გაერომ გენერალურმა ასამბლეამ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა დაბრუნებაზე მორიგი რეზოლუცია მიიღო. რით განსხვავდება ის ადრე მიღებული რეზოლუციებისაგან? გააჩინა თუ არა რაიმე მოლოდინები ახლა მიღებულმა დოკუმენტმა? ამის თაობაზე „ახალი თაობა“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარიას ესაუბრა.



***– ბატონო ჯემალ, გაერომ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა დაბრუნების შესახებ მორიგი რეზოლუცია მიიღო. ჩვენ ვართ მოწმე მრავალი რეზოლუციისა, რით განსხვავდება ეს დოკუმენტი დანარჩენი რეზოლუციებისაგან?***

– მსგავსი ჰუმანიტარული ხასიათის რეზოლუციები ყოველწლიურად მიიღება.

არსებითი განსხვავება წინა წლებში მიღებული რეზოლუციებისაგან გახლავთ ის, რომ წელს ეს რეზოლუცია შეიტანა არა მხოლოდ საქართველომ, არამედ მასთან ერთად 45-მა ქვეყანამ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

***– ეს რაზე მიუთითებს?***

– ეს მიუთითებს ძალიან ფართო საერთაშორისო მხარდაჭერაზე.

***– რუსეთისთვის რას ნიშნავს, მსოფლიოს 45 ქვეყანა რეზოლუციის ინიციატორად რომ გვევლინება?***

– ძალიან ბევრი ქვეყანა რუსეთის პოლიტიკას არ იწონებს. 45 ქვეყანას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შეაქვს რეზოლუცია, რომელსაც 79 ქვეყანა მხარს უჭერს. 15 ქვეყანა წინააღმდეგია, 57-მა ქვეყანამ თავი შეიკავა.

სხვათა შორის, სომხეთმა პირველად შეიკავა თავი. ის ადრე მსგავს რეზოლუციებს ყოველთვის წინააღმდეგ აძლევდა ხმას. ჩვენ წინა წლებში უკმაყოფილებას გამოვთქვამდით, რომ ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ქვეყანა ამ რეზოლუციას ყოველთვის წინააღმდეგ აძლევდა ხმას. წელს სომხეთმა ხმა წინააღმდეგ არ მისცა, მაგრამ არც ამ რეზოლუციის მომხრე ყოფილა, თავი შეიკავა. რასაც მე პირადად დადებითად ვაფასებ.

***– რამ განაპირობა სომხეთის დამოკიდებულების ცვლილებაა?***

– ალბათ, სომხეთის ახალი ხელისუფლების პოლიტიკაა ამგვარი. ჩვენ ამ ეტაპზე მათ ამ დამოკიდებულებას მივესალმებით. მომავალში ველოდებით, რომ სომხეთი ჩვენს მხარდამჭერებს შორის აღმოჩნდება.

ჩვენს გაკვირვებასა და გაოცებას იწვევს ბელარუსის მყარი პოზიცია ამ საკითხის მიმართ. ბელარუსი მუდმივად ამ რეზოლუციის წინააღმდეგ გამოდის. რუსეთის დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ ბელორუსი დსთ-ის ქვეყნებიდან ერთადერთია, რომელიც ყოველთვის ამ რეზოლუციის წინააღმდეგ აძლევს ხმას. ბელორუსის ამ დამოკიდებულების ახსნა ჩემთვის აბსოლუტურად შეუძლებელია.

არ ვიცი, ინერციით მიდის ასე თუ რა ხდება, რა მიზანს ისახავს ბელორუსის ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება. რა სიკეთე მოაქვს ამას ბელორუსისთვის, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. იმედია ეს საკითხი გამოსწორდება.

***– რუსეთი ბელორუსის სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლება.***

– სხვა ქვეყნებიც არიან სტრატეგიული მოკავშირეები, მაგრამ ბელორუსი არ არის მათი ყურმოჭრილი მონა. ის თავის პოლიტიკას ატარებს. განსაკუთრებით, ევროპის და თუნდაც საქართველოს მიმართ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. ამიტომ არის გაუგებარი მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– ალბათ, ჩვენი დიპლომატიის სისუსტის ბრალია. ლუკაშენკოს უნდა ვკითხოთ.***

– სამწუხაროდ, ამ საკითხში ღრმად გარკვეული არ ვარ. ბელორუსი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს. ეს მას არაერთხელ განუცხადებია. საქმითაც არაერთხელ დაადასტურეს. მიუხედავად რუსეთის მხრიდან ძალიან დიდი ზეწოლისა, არ აღიარეს და არც აპირებენ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარებას, მაგრამ გაეროს რეზოლუციისთვის წინააღმდეგ ხმის მიცემა, უბრალოდ, თვითონ ბელორუსის პოლიტიკის ჩარჩოებში არ ჯდება. ალბათ, ყველაფერი გაირკვევა და ბელორუსი აღმოჩნდება იმ ქვეყნებს შორის, რომელიც მომავალში მსგავს რეზოლუციას მხარს დაუჭერს.

***– აზერბაიჯანი თუ გვიჭერს მხარს?***

– აზერბაიჯანი მხარს ყოველთვის გვიჭერდა. ის პრობლემა (ვგულისხმობ საზღვრების დადგენას), რაც არის, დროებითია. დიდი იმედი მაქვს, მალე მოგვარდება და არანაირ გავლენას ჩვენს ურთიერთობაზე, სტრატეგიულ მოკავშირეობაზე არ იქონიებს.

***– აზერბაიჯანი მხარს გვიჭერს, რადგან მასაც აქვს მსგავსი პრობლემა, ვგულისხმობ ყარაბაღიდან დევნილებს.***

– რასაკვირველია. ჩვენ მხარს ვუჭერთ აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და ისინიც ჩვენ მხარს გვიჭერენ.

***– რაიმე მოლოდინი თუ გაგიჩინათ გაეროს ახალმა რეზოლუციამ?***

– ჩვენ ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება და რეზოლუცია. ეს რეზოლუცია თავისი შინაარსით დიდად არ განსხვავდება წინა წლების რეზოლუციებისაგან. თუმცა, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომლის საფუძველზეც რეზოლუციაა მიღებული, ჩანს, რომ ძალიან დიდი ყურადღება აქვს დათმობილი, ადამიანის უფლებების მდგომარეობას აფხაზეთის ტერიტორიაზე და ცხინვალის რეგიონში.

გაეროს გენმდივნის მოხსენებაში ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარება საქმის ღრმა ცოდნით, დეტალურადაა განხილული. მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ შეედგინათ ასეთი მოხსენება, რომლებიც ყოველმხრივ გარკვეულნი არიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებაში.

ჩემთვის თავისთავად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის, გაერო, მისი გენერალური მდივანი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ მძიმე მდგომარეობაში ღრმადაა გარკვეული.

რეზოლუციაში, როგორც ყოველთვის, ყურადღება გამახვილებულია იძულებით გადაადგილებულ პირებზე, მათ უფლებაზე, უპირობოდ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ხაზგასმულია საკუთრების უფლებაც.

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ადამიანები გამოიდევნნენ. იქ დატოვეს უზარმაზარი საკუთრება, რომელიც მათ, ფაქტობრივად, ძალადობით ჩამოართვეს. საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. გაერო აფრთხილებს სხვადასხვა ქვეყნებს, ამ ქონების შეძენისაგან თავი შეიკავონ, რადგან ამ კუთხით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უკანონო იქნება არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ გაეროს რეზოლუციითაც.

***– დევნილების ქონებრივი უფლებების პატივისცემაზე ჩანაწერი ახალია?***

– არა, მაგრამ ამ უფლების პატივისცემაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმა ზედმეტად არ მიმაჩნია. დევნილების ქონებრივი უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძალიან მნიშვნელოვანია. მით უფრო, როცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად დაიტაცონ დევნილების ქონება.

განსაკუთრებით რუსეთი ცდილობს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი დევნილთა ქონების ხელში ჩაგდებას, უნდათ იქ დარჩენილი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ვახტანგ გომელაური საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) დელეგაციის ხელმძღვანელთან, სევერინ შაპაზთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) საქმიანობა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებით ICRC-ის პროგრამებსა და სამმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის შეხვედრებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი და საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კოორდინატორი უგზო-უკვლოდ დაკარგული პირებისა და მათი ოჯახების თანადგომის საკითხებში ლინა მილნერი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების, სასწრაფო და გეგმიური სამედიცინო ევაკუაციისა და ოჯახური კავშირების აღდგენა/შენარჩუნების მიმართულებით თანამშრომლობს.

# როგორ ავიცილოთ თვითმკვლელობა მოზარდებში

ნონა ცაბაძე

**რატომ იმატა მოზარდებში თვითმკვლელობამ, სად უნდა ვეძებოთ პრობლემის სათავე, რა ზომებია მისაღები? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფსიქოლოგი ვერიკო გოჯიაშვილი პასუხობს.**



***– ქალბატონო ვერიკო, რატომ იმატა მოზარდებში თვითმკვლელობის შემთხვევებმა?***

– გეთანხმებით, ისეთი მატებაა, რომ სტატისტიკას ველარ ვეწევით. მთელ მსოფლიოში ეს ზრდის დინამიკა. სიტუაცია საგანგაშოა და ეს იმის ნიშანია, რომ ზომებია მისაღები. რადგან წამოვიდა ეს ტენდენცია, ამას თავისთავად აქვს საფუძვლები.

***– კერძოდ, რა საფუძვლები?***

– ძალიან ბევრი მიზეზია. ცხოვრების სტილი შეიცვალა, აჩქარებულ ტემპზეა გადასული ყველაფერი, მოთხოვნილებები ძალიან დიდია, ფულის მოთხოვნილება, ურთიერთობის მოთხოვნილება.

შემცირდა ურთიერთობები, ხალხი გამოკეტილ სივრცეში მუშაობს, ინტერესის სფეროებს ველარ იკმაყოფილებენ. ფულს რომ იღებენ, დრო არა აქვთ, რომ დახარჯონ. ვისაც არა აქვს ფული, არა აქვს და ამიტომ წუხს და ნერვიულობს, ხოლო ვინც შოულობს, ისიც უბედურია. ამ ფულის მოხმარების თავი აღარ აქვს. აგრესიამ იმატა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მოზარდებში.

10 წელს რომ აცდება ბავშვი, დაზღვევაში უნდა ჩავუდოთ ფსიქოლოგთან ვიზიტები. ბავშვს და მშობელს უნდა შეეძლოთ უფასო კონსულტირება. ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს. პრევენციული ზომებია გასატარებელი.

***– ალბათ სკოლებსაც უნდა ჰყავდეს ფსიქოლოგები.***

– ეს არის აუცილებელი. დაწყებით კლასებს უნდა ჰყავდეს თავისი ფსიქოლოგი, შემდეგ მომდევნო ლატენტური პერიოდია, ვითომ მშვიდი პერიოდია, მაგრამ ბავშვებში მაინც ბევრი პროტესტი გროვდება და მერე პუბერტატში რომ ამოხეთქავს ხოლმე, ზუსტად ეს არის. ეს ასაკი სხვანაირად მოსავლელია.

***– ნაწილი მოზარდის გარდატეხის ასაკს უკავშირებს ამ ყველაფერს, ზოგიც ოჯახიდან წამოსულ პრობლემებს, სკოლას, ბულინგს. მაინც სად არის პრობლემის სათავე?***

– ძალიან ბევრ მოზარდს აქვს მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა. დეპრესიამ იცის ძალიან ჩუმი განვითარება. მშობელი ხშირ შემთხვევაში ვერ ხვდება ამას და გარდატეხის ასაკს აბრალებს, ფიქრობს, რომ გაივლის. ვთქვათ, გარდატეხის ასაკშია, განზე გაიწია, ოთახშია ჩაკეტილი, არ ლაპარაკობს, არ გვეკონტაქტება. არაფერი არ უხარია, ყიდულობთ, არ უხარია. ვერ იგებს მშობელი, რომ ეს არის დეპრესია. არ არის ადვილი ამოსაჩენი, ეს დეპრესიაა თუ არა.

***– რა დროს უნდა მიმართოს მშობელმა ფსიქოლოგს დასახმარებლად?***

– ძალიან სხვადასხვანაირია გამოვლინებები. ყველაზე დიდი მაჩვენებელია ბავშვის ჩაკეტვა, უკონტაქტობა, უხალისობა, არის აგრესიული, ხმის ტემბრმა მოიმატა, ხმამაღლა ლაპარაკობს გამყინავი ხმით, ყველაფერზე ნეგატიურია. ძალიან ბევრი რამ არის, რაზეც მშობელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს.

***– ერთი პერიოდი სოციალური ქსელით გავრცელებულ თამაშებსაც ბრალდებოდა ეს ყველაფერი.***

– კი ბატონო. ეს შემთხვევები ხშირია ნარკომანიის და აზარტული თამაშის დროს. ექსტაზის მოხმარების დროს ენდორფინების გამოყოფა არ ხდება, ეს არის სიამოვნების ჰორმონი, რომელმაც უნდა განაპირობოს შემდეგ ბედნიერების განწყობა. აბსოლუტურად იბლოკება ამ კლუბური ნარკოტის მიღების შემდეგ ამ ჰორმონის გამოყოფა. კლუბურ ნარკოტიკს უწოდებენ და ყველა შესწავლილიც კი არ არის, რა შემოდის. სახელებიც კი არ იციან.

***– ანუ თვითმკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი მოზარდებში ნარკოტიკების მოხმარებაა?***

– დიახ, ერთ-ერთი მიზეზი არის ეს. ხშირად მსმენია, ერთხელ მოვიხმარ და რა მოხდა, ერთხელ, ორჯერ და მერე ამ ადამიანს სიხარულის განცდა, თუ რაღაცა ნარკოტიკული საშუალება არ მიიღო, აღარ აქვს. უბრალოდ არ შეუძლია. შეიძლება ძალიან დიდი ბედნიერება მოხდეს ოჯახში და ამ ადამიანს არ უხაროდეს, იმიტომ, რომ მისი ორგანიზმი არ გამოყოფს ამ ჰორმონს.

***– ადრე ნარკომანიის პრობლემა სრულწლოვნებში გვხვდებოდა, ახლა სკოლის მოსწავლეებშიც გვხვდება.***

– სამწუხაროდ, ასეა. დღეს ყველაფერი ხელმისაწვდომია ინტერნეტით. თუნდაც იგივე აზარტული თამაშები. ეს ყველაფერს კლავს მოზარდში. სუიციდი კი არის საკუთარი თავის და გარემოს უარყოფა. ვერ ხედავს გამოსავალს, სამყაროში ვერ ხედავს დასაყრდენს, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს.

***– ერთი ისტორია მოვისმინე, რომელმაც შემზარა. 16 წლის გოგონა მასთან სახლში მისულმა რეპეტიტორმა გადაარჩინა თვითმკვლელობას და რომ ჰკითხა რატომ აკეთებდა ამას, გოგონამ უპასუხა, რომ აინტერესებდა, მისი სიკვდილის შემდეგ რას დაწერდნენ მასზე სოციალურ ქსელში.***

– ზუსტად, 13-14 წლის ზევით ძალიან გაიზარდა მიმბაძველობის მომენტი. 13-14 წლამდე ბავშვი არის ის, რაც არის მშობელი. მერე დგება ასაკი პროტესტების, გარე გამოხატვის და მშობელი იწევს განზე და მოზარდი არის ის, რაც არის მისი გარემო.

ის უნდა ასოცირდეს საზოგადოებასთან. მან თუ ამ ხნის განმავლობაში კულტები შეიქმნა, ექცევა მათი გავლენის ქვეშ. ან თუ ვთქვათ ვინმე ცნობილმა მოიკლა თავი და მოყვა ამას გამოხატულება. არის რიგი ქვეყნები, სადაც თვითმკვლელის სურათს არ აჩვენებენ, იბლოკება და ზოგადად ინფორმაციაც იზღუდება. ჩვენთან კი ყველაფერი ელვის სისწრაფით ვრცელდება ინტერნეტში თუ ტელევიზიებში. ეს იწვევს მიმბაძველობას.

საქართველო პატარა ქვეყანაა და კულტებიც ადვილად იქმნება. პატარებში რატომღაც კარგ ტონად ითვლება, რომ რაღაც უნდა მიიღონ და იკაიფონ. იმიტომ, რომ გაავტორიტეტდნენ ის ადამიანები, ვინც ამას აკეთებს.

ესეც ძალიან სამწუხარო ტენდენციაა. ბევრმა მოზარდმა იცის, რომ ეს კარგი ადამიანია, საზოგადოებისთვის ცნობილია, ავტორიტეტია და ის ამას აკეთებს. მოზარდი ფიქრობს, რომ ეს კარგია და მანაც უნდა გააკეთოს.

***– თვითმკვლელობის პრევენციის მიზნით რა არის გასაკეთებელი?***

– პირველ რიგში, თავიდანვე ბავშვის აღზრდაშია ჩასადები ბევრი რამ. ძლიერი ღირებულებათა სისტემაა საჭირო – სიცოცხლე, საკუთარი თავი, ოჯახი, რელიგია, სტიმული, მოტივაცია, მიღწევები და ადამიანის არსის გაგება.

თითოეულ ბავშვთან უნდა მივიტანოთ აზრი, რომ მას რაღაც მისია აქვს, რომ დაიბადა, რაღაც აქვს შესასრულებელი. რომ ის არის ერთადერთი, უნიკალური, რომ ის არასდროს განმეორდება და რახან ღმერთმა მოავლინა, გამოსავალსაც აუცილებლად დაინახავს.

***– სკოლის როლიც დიდია ალბათ?***

– დიახ, რა თქმა უნდა. აქტიურად შემოვიდა ძალიან ბევრ ქვეყანაში ბედნიერების გაკვეთილი, სიხარულის გაკვეთილი, სუფთა ჰაერზე გაკვეთილი. ბევრ რამეს ცვლიან, რადგან ხედავენ, რომ ბავშვის ხალისი დაიკარგა, ბავშვობა დაიკარგა.

აუცილებლად უნდა გადამზადდნენ პედაგოგებიც. უნარ-ჩვევებს აბარებინებენ პედაგოგებს და მე თუ მკითხავთ, ყველა პედაგოგს უნდა მოვუწოდოთ და ვასწავლოთ სიყვარულით თერაპია.

ყველა საქმე ვაკეთოთ სიყვარულით. მშობელმაც, პედაგოგმაც სულ უნდა აჩვენოს ბავშვს, რომ გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ბავშვი ერთნაირად საყვარელი უნდა იყოს, წარმატებულიც და წარუმატებელიც.

# სხვიტარიძე: „ვამბობთ, რომ ბიუჯეტი 400 მლნ-მდე ლარს კარგავს, მაგრამ ნაბიჯი არ იდგმება“

– მთავრობასთან კომუნიკაციის პრობლემას ვერ ვხედავ, გადაწყვეტილებების მიუღებლობის თემას კი, ვხედავ, – ამის შესახებ bm.ge-ის British American Tobacco Caucasus and Moldova-ს დირექტორმა იურიდიულ და კორპორატიულ საკითხებში ზვიად სხვიტარიძემ საქართველოში ავსტრიის ელჩის არად ბენკოს შეფასების კომენტირებისას განუცხადა.

საქმე იმაშია, რომ ელჩის თქმით, ავსტრიის მაგალითზე საუბრისას მათ მუდმივად უწევთ საქართველოში გადაწყვეტილების მიუღებლობის პრობლემასთან შეჭიდება; ამის შესახებ ავსტრიის ელჩმა იმ ფაქტორებზე საუბრისას აღნიშნა, რაც ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის, თუმცა 3 ივნისს ელჩმა ავსტრიის საელჩოს ოფიციალურ Facebook გვერდზე განცხადება გაავრცელა, რომელშიც დიპლომატი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური გარემოს ახსნისას იყო გამოყენებული ცალკეული მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება არასწორად იქნას ინტერპრეტირებული.

ავსტრიელი დიპლომატი ირწმუნება, რომ ცალკეული განცხადებები კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი, ამიტომ BMG გეგმავს, უახლოეს მომავალში, ინტერვიუს სრული ვერსია ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნოს;

თუმცა იქამდე,bm.ge-მ გადაწყვიტა, კერძო სექტორისთვისაც ეკითხა, პრაქტიკაში რამდენად აწყდებიან გადაწყვეტილების მიუღებლობის პრობლემას, რომელიც ხშირად ბიუროკრატებთან ურთიერთობასაც უკავშირდება.



– კომუნიკაციის პრობლემა არ გვაქვს იმიტომ, რომ ჩვენ პირდაპირ კომუნიკაციაზე ვართ, როგორც ფინანსთა სამინისტროსთან, ასევე სამთავრობო სტრუქტურებთან. შესაძლოა, კომუნიკაცია გქონდეს, მაგრამ გადაწყვეტილებები ვერ მიიღებოდეს. ვამბობთ, რომ აქციზი რადიკალურად გაიზარდა; ვამბობთ, რომ ყოველთვიურად საქართველოს ბიუჯეტი 33 მლნ-ს კარგავს, წლიურად კი – 400 მლნ-მდე ლარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არანაირი ნაბიჯი არ იდგმება, რომ ან აქციზი შეამცირონ ან რამდენიმე წლიანი აქციზის გაზრდის გეგმა დადონ, – განმარტა სხვიტარიძემ და დასძინა, 400 მლნ-მდე დანაკარგის ძირითადი მიზეზი გაზრდილი კონტრაბანდა და დაჭრილი თამბაქოა, რომელიც შემოდის და აქციზს არავინ იხდის.

ზვიად სხვიტარიძემ პრობლემებზე საუბრისას, მეორე საკითხად შიდაკომუნიკაციის თემა გამოყო და ამ მიმართულებით თბილისის მერიაზე ისაუბრა.

– შიდაკომუნიკაციების თემა, რომელიც მერიას პირდაპირ უკავშირდება – ჩვენ მათთან კომუნიკაციის პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღების თემაა.

მაგალითად, იგივე როდესაც ვსაუბრობთ, რატომ უნდა იყოს მარკეტებსა თუ სუპერმარკეტებში ისეთ მახინჯ მდგომარეობაში ჩვენი თაროები, როგორშიც ახლაა და რატომ არ უნდა იყოს ისე, როგორც ეს არის იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ჩეხეთში სლოვაკეთში და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. გადაწყვეტილებების მიღების პრობლემას უფრო ვხედავ ვიდრე კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლა ხდება, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება, – განმარტა სხვიტარიძემ.

**BMG**

# ჯემალ გამახარია: „დევნილებისთვის ჩამორთმეული ქონება არავინ არ უნდა შეიძინოს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ქონება შეიძინონ რუსეთის მოქალაქეებმა. ამის საფრთხე ნამდვილად არსებობს. ამიტომ გაეროს რეზოლუციაში ასეთი ჩანაწერი საერთაშორისო საზოგადოების, ყველა ქვეყნის, გარკვეული პიროვნების გაფრთხილებაა, თავი შეიკავონ აღნიშნული ქონების შეძენისაგან. გაეროს რეზოლუციით, ასევე მიუღებელია დემოგრაფიული ვითარების ძალადობით შეცვლა. ამიტომ მოუწოდებენ ყველას, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისაგან.

***– ოკუპირებულ ტერიტორიაზე დემოგრაფიული ვითარება ძალადობით უკვე შეცვლილი რომ არის?***

– დემოგრაფიული ვითარება ძალადობით შეცვლილია, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება არ ურიგდება დემოგრაფიული სიტუაციის ძალადობრივ შეცვლას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. წინა რეზოლუციებშიც არის ასეთი ჩანაწერი. ეს მეორდება მუდმივად. საერთაშორისო თანამეგობრობა ამ პოზიციაზე მყარად დგას, რაც მისასალმებელია.

ეს ჩანაწერი, ალბათ, მომავალ რეზოლუციებშიც განმეორდება. მივესალმებით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ამ თვალსაზრისით მხარს მყარად გვიჭერს. დევნილებისთვის ჩამორთმეული ქონება არავინ არ უნდა შეიძინოს და პატრონს უნდა დაუბრუნდეს.

გაეროს რეზოლუციაში ასევე აღნიშნულია, რომ ხელი არ უნდა შეეშალოს ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული აქციების განხორციელებას. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი რეზოლუციაა, რომელიც ითხოვს შედგეს დევნილთა დაბრუნების გრაფიკი. გენმდივანი აღნიშნავს, რომ იმ ძალების პოზიცია, რომლებიც აკონტროლებენ აფხაზეთს, შეურიგებელია. სანამ არ შექმნილა პირობები დევნილთა მასობრივი დაბრუნებისთვის, ეს საკითხი ღიად რჩება, მაგრამ მუდმივად დღის წესრიგშია. დევნილთა დაბრუნება დღეს არარეალურია, მაგრამ ხვალზეგ რეალური იქნება, ბრძოლა გრძელდება.

***– რეზოლუციაში წერია, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხი ჟენევის ფორმატში უნდა იქნას განხილული.***

– დიახ, უნდა მოხდეს ჟენევის დისკუსიის აქტივიზაცია, უნდა მოვილაპარაკოთ მშვიდობის განმტკიცებაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, უსაფრთხოებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს დევნილთა დაბრუნებას იმ ტერიტორიაზე, საიდანაც ისინი იძულებით გამოდევნეს.

***– როგორ შეიძლება მოხერხდეს ამ საკითხზე მოლაპარაკება და შეთანხმება, როცა წინა მოლაპარაკებების დროს, დაისმებოდა თუ არა დევნილთა დაბრუნების საკითხი, რუსები, აფხაზები და ოსები მაშინვე ტოვებდნენ მოლაპარაკების მაგიდას?***

– სამწუხაროდ, არა მხოლოდ წინა დისკუსიებზე, არამედ უფრო ადრეც ასე ხდებოდა. გაეროს გენმდივნის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ უნდა შეწყდეს დარბაზის დატოვება და საკითხის განხილვაზე უარის თქმა. გაეროს გენერალური ასამბლეა მეტს ვერ იტყვის, ვერ აიძულებს მხარეებს, დასხდნენ და აუცილებლად მიიღონ გადაწყვეტილება. თუმცა საერთაშორისო საზოგადოებრიობა და გაერო მუდმივად მოითხოვენ ოკუპანტებისაგან, უზრუნველყონ დევნილების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

***– რუსეთი არის გაეროში ვეტოს უფლების მქონე ქვეყანა.***

– დიახ, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია.

**„აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ადამიანები გამოიდევნენ. იქ დატოვეს უზარმაზარი საკუთრება, რომელიც მათ, ფაქტობრივად, ძალადობით ჩამოართვეს. საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია“**

***– რუსეთი არ ემორჩილება თვითონ გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციებს. ცხადია, არც მათი მარიონეტი სეპარატისტული რეჟიმები ემორჩილებიან. ეს რანაირ სურათს და კომბინაციას გვაძლევს? რუსეთს პასუხი არ მოეკითხება იმაზე, რომ გაეროს რეზოლუციებს არ ასრულებს? რა იქნება, გაეროს მუდმივი წევრის სტატუსი რომ მაინც ჩამოართვან?***

– სამწუხაროდ, გაეროს წესდებიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. თუ ოდესმე გაეროს რეორგანიზაცია მოხდება და წესდება შეიცვლება, მერე შესაძლებელია ესეც ოდესმე მოხდეს, მაგრამ დღეს არარეალურია. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელშიც ვიმყოფებით. გაეროს რეზოლუციები სულ უფრო და უფრო უნდა გამკაცრდეს, მხარდამჭერთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, მოწინააღმდეგეთა რიცხვი უნდა შემცირდეს. წელს, შარშანდელთან შედარებით, მომხრეთა რაოდენობა ორი ქვეყნით არის შემცირებული, მაგრამ მოწინააღმდეგეთა რაოდენობაც შემცირებულია. შემცირებულია იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც თავი შეიკავეს, რაც ჩვენი დიპლომატიის დიდი წარმატებაა. ყველაზე დიდი წარმატება ისაა, რომ რეზოლუცია 45 ქვეყნის ინიციატივით შევიდა.

# ლუკა კალანდია: „მიხეილ კალანდიას ჩვენება მერაბ მორჩაძემ შეაცვლევინა, რომელიც ივანიშვილთან დაახლოებულმა პირმა მოგვიგზავნა“

გუშინ, 5 ივნისს, ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმეზე დაკავებულ მიხეილ კალანდიას ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

„მ.კ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, განზრახ, ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით“, – განაცხადეს პროკურატურაში.

გუშინვე განცხადება გააკეთა მიხეილ კალანდიას ძმამ, ლუკა კალანდიამ.

– ჩვენ ვხსნით ყველა კარტს, – თქვა მან და ხორავას ქუჩის საქმის დღემდე უცნობ დეტალებზე პირველად ალაპარაკდა.

ლუკა კალანდიას ინფორმაციით, 2017 წლის 3 დეკემბერს დაკითხვაზე მათ წინააღმდეგ ფიზიკური და მორალური ზეწოლა განხორციელდა და ხელი ძალადობით მოაწერინეს ჩვენებაზე, რომელიც მათი დაწერილი არ იყო.

– ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი ოჯახი თანამშრომლობდა გამოძიებასთან. არც ერთი წამი არ ვამტკიცებდით და ვამბობდით საწინააღმდეგოს, იმდენად დიდი ტრაგედია იყო მომხდარი, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო სიმართლე, მაგრამ მივიღეთ ის, რომ გაირკვა ე.წ. სიმართლე.

რაც შეეხება ფიზიკურ ზეწოლას, 3 დეკემბერს, დაახლოებით 12 საათის განმავლობაში გვცემდნენ. მე მესმოდა პირადად, როგორ სცემდნენ მამაჩემს, მამაჩემსაც ესმოდა, მე როგორ მცემდნენ, ჩემი ძმაც უმოწყალოდ სცემეს და რომელ არასრულწლოვანთა უფლებებზეა საუბარი, ვინმეს რომ მიხეილისთვის ხელი დაეფარებინა, როგორ ფიქრობთ, ვინმე ხელს აწევდა ჩვენზე? იმიტომ გვცემდნენ, რომ დანაშაულის დაფარვის ასპექტში ყველამ კარგად იცის, რომ დააკავეს ჩვენი მეგობრები, უდანაშაულო მეგობრები.

არ გამოვრიცხავთ, საზოგადოების მხრიდან მსგავსი ნეგატიური ტალღისგან თავის დასაღწევად, ჩვენ დაგვაკავონ იმისათვის, რომ ჩამოგვაშორონ ასპარეზიდან. ჩვენ მზად ვართ ამისთვის. იმ პირების სახელი და გვარებიც არის ცნობილი, თუ არ დაგვცალდა და დაგვაკავეს, ამ ინფორმაციას აუცილებლად მოგაწოდებთ, – განაცხადა ლუკა კალანდიამ.

ლუკა კალანდია ყვება, რომ მიხეილ კალანდიას ჩვენება მერაბ მორჩაძემ შეაცვლევინა. მისი თქმით, მორჩაძე მათთან 2017 წლის დეკემბრის დასაწყისში ივანე ნაკაიძემ მიაგზავნა, რომელიც ერთ-ერთი დაკავებულის, უკვე მსჯავრდებულის გ.ჯ.-ს ბიძა, ასევე ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირია.

– ეს პიროვნება არის ერთ-ერთი დაკავებულის ბიძა, რომელიც საკმაოდ გავლენიანი ადამიანია და, ალბათ, მათი ინტერესიცაა. იქიდან გამომდინარე, ვამბობ მე ამას, რომ მათ მოგვიგზავნეს, ვითომდა, ჩვენი ნათესავი ადამიანი სახლში იმ მიზნით, რომ მიხეილს



შეეცვალა ჩვენება და ჩვეულებრივად განახორციელა ზეწოლა, რის შედეგადაც მიხეილმა მერე ჩვენება შეცვალა.

მერაბ მორჩაძე მოვიდა და გვითხრა, რომ ერთ-ერთი დაკავებულის ოჯახის ბავშვობის მეგობარი და ახლობელი იყო. თქვენ ხვდებით, ახლა რა ხდება? ჩვენ ახლა ვხსნით ყველა კარტს, რაც აქამდე არ გაგვიხსნია, რაზეც აქამდე ჩუმად ვიყავით, – განაცხადა ლუკა კალანდიამ.

რუსთავი 2-ის ცნობით, კალანდია ამბობს, რომ მირზა სუბელიანი, რომელიც ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეში ფიგურირებს და მას ბრალი დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის აქვს წარდგენილი, ცნობილ სკანდალურ ფარულ ჩანაწერში ხორავას ქუჩის საქმეზე სიმართლეს ამბობდა.

ლუკა კალანდია ფაქტობრივად ადასტურებს, რომ ფარულ ჩანაწერში, რომლის ავთენტურობაც ჯერ პროკურატურას დადგენილი არ აქვს, ნამდვილად მისი ბიძა, მირზა სუბელიანი მონაწილეობს.

საუბარია ფარულ ჩანაწერზე, რომელიც რუსთავი 2-მა გასული წლის ოქტომბერში მოიპოვა და გაავრცელა.

ჩანაწერში სუბელიანი ამბობს, რომ ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევის მოწმე მოზარდები გაიტაცეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

„მეორე შემთხვევას გეტყვი, რისი პაბლაშკა, ბო..შვილი ვიყო, ლამის ბუქნებს მაკეთებინებდნენ, ღამე წაიყვანეს, რაზე მაქ ზაზაზე აკრეფილი, მოიპარეს ბავშვები, მე ირაკლისაც ვუთხარი და მამის თვალწინ სცემეს, უძინართა მზეში ხდება და ერთადერთი ჩვენ ცხონებულ გიოს გაუკეთეს ნაცებმა და ჩემ ოჯახს გაუკეთეს, მერე საქმე რო უფუჭდებოდათ, თვითონ გამოვიდნენ აქეთ კონტაქტზე და რაც ჩვენ გვაქ ნარბენი და დავუულაგეთ საქმე, გამოსავალი მითხარიო, იმან რო მითხრა, რავი ძმაო, ამ სიტუაციაში მე გამოსავალს ვერ ვხედავ-მეთქი რა, იმიტო რო სახელმწიფო გადარჩეს ჩაჯექიო, ჩავჯექი ეგრევე.

კალანდია, ბავშვზეა ლაპარაკი, მთავარი მოწმეა, მაგას იმიტო კი არ იჭერენ დიდადაც უნდათ დაიჭირონ მარა ის ძირი საქმე დაენგრევათ თორე ჩემი ხათრი სულ არავის არ აქვთ, ჩემი ხათრი რო ქონოდათ, მაგან მე უკვე თავისი წილი შეურაცხყოფა მომაყენა, როდესაც პირველ დღეს მიიყვანეს და ბავშვები სცემეს,“ – ამბობს სუბელიანი, რომელიც ფარულ ჩანაწერში დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძეს ესაუბრება.

სუბელიანი სკანდალურ ჩანაწერებში ასევე ამბობს, რომ მასა და ხელისუფლების მაღალჩინოსნებს შორის კონკრეტული გარიგება შედგა. მისი თქმით, გარიგების თანახმად ის ციხეში 1 წლით ჩაჯდომაზე დათანხმდა.

სუბელიანი ჩანაწერში აზუსტებს, რომ ერთი წელი პატიმრობაში იქნება, ხოლო ერთ წელს პირობით მსჯავრს მოიხდის.

„მე ვამბობ ეგეთ რაღაცას ძმაო, მომისაჯონ, დავიღალე რა, რო წახვალ უთხარი მომცენ მე ჩემი, არ მინდა არც შეღავათი და არც არაფერი, ხო ვთქვი ერთი წელი და მომისაჯონ და დამანებონ თავი რა. აღარ მინდა არც შეღავათი, ხო ვთქვი ერთი წელი, ვიჯდები ის ერთი წელი, დავიღალე რა, დამანებონ თავი რა,“ – ამბობს სუბელიანი.

# იულია სუსლიაკი 4 ბავშვის ბიოლოგიური დედაა, ათივე ბავშვს 1 ბიოლოგიური მამა ჰყავს



არასრულწლოვნებით ვაჭრობის ბრალდებით დაკავებული 37 წლის იულია სუსლიაკის საქმეზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიურომ ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუსლიაკის ადვოკატმა, ზურაბ თოდუამ განუცხადა, აღნიშნული ექსპერტიზით მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა დასტურდება.

– ეს არის უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ სუსლიაკს ბავშვები ნაყიდი კი არ ჰყავს, ბიოლოგიურად ჰყავს გაჩენილი. ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ იულია სუსლიაკი 4 ბავშვის ბიოლოგიური დედაა, ხოლო ათივე ბავშვს ჰყავს ერთი ბიოლოგიური მამა. ეს ბავშვები ბიოლოგიური და-ძმანი არიან მამის ხაზით.

უტყუარად დასტურდება ფაქტი, რომ სუსლიაკი სრულიად უდანაშაულოდ არის ციხეში მოთავსებული, ხოლო პროკურორი, რომელმაც ეს ბრალი მოიფიქრა, დროა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი მაქვს შუამდგომლობა იულია სუსლიაკის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. საჩივრის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით პასუხს დღეს მეტყვიან, – განაცხადა თოდუამ.

იულია სუსლიაკს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

იულია სუსლიაკი მიმდინარე წლის 25 აპრილს, ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იულია სუსლიაკი საქართველოში 10 მცირეწლოვან ბავშვთან ერთად რუსეთიდან 2019 წლის 8 აპრილს ჩამოვიდა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას აპირებდა. საგამოძიებო უწყებაში აცხადებენ, რომ დოკუმენტაციის მიხედვით, 10-ვე ბავშვი იულია სუსლიაკის შვილია და მის გვარს ატარებს, თუმცა მცირეწლოვნებიდან 4 დაბადებულია 2017 წელს, რამაც სამართალდამცველებს ტრეფიკინგის ეჭვი გაუჩინა.

შსს-ს ცნობით, იულია სუსლიაკი უკრაინიდან რუსეთში 11 ბავშვის თანხლებით გადავიდა, საქართველოში კი 10 ბავშვი ჩამოიყვანა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ინტერპოლის არხებით ცდილობს მოიძიოს ინფორმაცია იმ ერთი ბავშვის შესახებ, რომელიც ამ დრომდე არ ჩანს.

გამოძიება ორი ან მეტი არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 143-ე 2-პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# წყალტუბოში გოგონამ შეყვარებულის საფლავზე თავი მოიკლა



წყალტუბოში სალომე ჯიმშელეიშვილმა შეყვარებულის საფლავზე თავი მოიკლა.

თვითმკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე მან მეგობარს უთხრა, რომ შეყვარებულის მეგობრების მხრიდან ბულინგის მსხვერპლი იყო.

– გარდაცვლილი ბიჭის მეგობრებმა სოციალურ ქსელში ჩატი გააკეთეს, რათა მეგობრის საფლავზე გასვლის თარიღების შესახებ ინფორმაცია გაეცვალათ.

ავარიაში დაღუპული ბიჭის სოციალური ქსელით გოგონაც სარგებლობდა და მან შეყვარებულის მეგობრების მიმოწერა წაიკითხა, სადაც მასზე ქილიკობდნენ და წერდნენ, რომ გოგონა 26 წლის დაღუპულ ბიჭს აღარ გლოვობდა. ერთ-ერთი სარკაზმით წერდა, მეშინია, თავი არ მოიკლას დარდითო, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ გოგონას მეგობარმა.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ საფლავზე თვითმკვლელობამდე გოგონამ შეყვარებულის საფლავზე რამდენიმე დღით ადრე თვითმკვლელობის მიზნით დიდი რაოდენობის წამალი დალია, თუმცა მაშინ გადარჩა.

ორი თვის წინ ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში გოგონას შეყვარებული, ვატო ჟორჟოლიანი ავტოავარიაში დაიღუპა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# 25 წლის ბეთქილ გულბანმა თავი ჩამოიხრჩო



თვითმკვლელობის მორიგი შემთხვევა მოხდა საქართველოში – 25 წლის ბეთქილ გულბანმა თავი ჩამოიხრჩო.

შემთხვევა 3 დღის წინ მოხდა წყალტუბოს რაიონის სოფელ საყულიაში (სვანების დასახლება).

ახალგაზრდა მამაკაცი ახლობლებმა სოფლის ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ბეთქილ გულბანს ცოლი და 1 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

**აიტივი**

# 46 წლის მამაკაცს 33 წლის ქალის სექსუალური შევიწროებისთვის 300 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა

ახალი კანონის ამოქმედების შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სექსუალური შევიწროების საქმეზე სამართალდამრღვევი გამოავლინა.

2019 წლის 3 ივნისს, შსს-ს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს დაზარალებულმა მიმართა, რომელიც მიუთითებდა უცნობი მამაკაცის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების შესახებ.

შესაბამისი ღონისძიებების გატარების შედეგად, პოლიციის მიერ იდენტიფიცირებული იქნა 1973 წელს დაბადებული ვ. მ., რომელმაც ქუჩაში სექსუალური შევიწროება განახორციელა 1986 წელს დაბადებული მ. ს.-ს მიმართ.

„მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ვ.მ.-მ დაზარალებულს შესთავაზა სექსუალური ხასიათის ურთიერთობა, რაც ამ უკანასკნელისთვის იყო დამამცირებელი და ღირსების შემლახავი.

სასამართლომ სრულად გაიზიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს არგუმენტები და ვ. მ. ცნო სამართალდამრღვევად სექსუალურ შევიწროებაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით. ვ.მ.-ს სახდელის სახით 300 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის მხრიდან პოლიციისთვის მიმართვა მოხდა სექსუალური შევიწროების ჩადენისთანავე, დაუყოვნებლივ, რამაც ხელი შეუწყო მტკიცებულებების დროულად შეგროვებასა და სამართალდამრღვევის დადგენას“ – აცხადებენ შსს-ში.

2019 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა კანონი, რომლითაც სექსუალური შევიწროება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად იქნა მიჩნეული.

# ავლაბარში მანქანამ ქალი გაიტანა და მოკლა




გუშინ, 5 ივნისს, ავლაბარში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა.

ავტომობილი ქვეითად მოსიარულე შუახნის ქალს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს იმის მიერ, ვინც აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას მართავს.

# „ნატოს წევრებმა თავდაცვისთვის მეტი უნდა დახარჯონ“

## ლონდონში ტრამპისა და ტერეზა მეის პრესკონფერენცია გაიმართა



ბრიტანეთის დედაქალაქში დონალდ ტრამპისა და ტერეზა მეის პრესკონფერენცია გაიმართა.

ყურადღება ძირითადად სამ მომენტზე გამახვილდა. ესენია: ინგლის-აშშ-ის ურთიერთობები, რუსული საფრთხე და ურთიერთობები ჩინეთთან.

ტრამპმა და მეიმ ხაზი გაუსვეს, რომ ბრიტანეთ-აშშ-ის შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობებია. ორივემ განაცხადა, რომ მომავალში ამოქმედდება რიგი პროექტი, რაც აშშ-ინგლისს შორის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირს კიდევ უფრო მჭიდროს გახდის.

საუბარი ბრექსიტსაც შეეხო. ტრამპმა მადლობა გადაუხადა ტერეზა მეის იმ ღვაწლისთვის, რაც მას ბრექსიტთან დაკავშირებით მიუძღვის.

ტრამპმა და მეიმ აქცენტი გააკეთეს იმ გამოწვევებზე, რაც დასავლეთს ემუქრება. კერძოდ, საუბარი იყო რუსეთის აგრესიულ გეგმებზე. ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ინგლისი მზადაა, აუცილებლობის შემთხვევაში ნატოს თავისი ავიამზიდები მიაშველოს. ტრამპმა კი ნატოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ თავდაცვისთვის უფრო მეტი სახსრები გაიღონ.

– ნატოს წევრმა ყველა ქვეყანამ თავისი ეროვნული შემოსავლიდან უფრო მეტი უნდა გაიღოს, რათა უსაფრთხოება უზრუნველყოს! – ამბობს ტრამპი.

ჩინეთთან დაკავშირებით ტრამპმა და მეიმ შენიშნეს, რომ ამ ქვეყანასთან ძირეული უთანხმოებები არსებობს. მიუხედავად ამისა, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ უთანხმოება დაძლეულ იქნას.

# თურქეთს რუსულ „ეს -400“-ს და ამერიკულ „ეფ-35“-ს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს

ნატო-ში აშშ-ის წარმომადგენელმა კეი ბეილი ჰატჩისონმა განაცხადა, რომ თურქეთს არჩევანის გაკეთება მოუწევს რუსულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „ეს-400“-სა და ამერიკულ თვითმფრინავებს „ეფ-35“-ს შორის, რომლებიც ასევე შეკვეთილი აქვს.



თურქეთს გადაწყვეტილების მისაღებად ერთი კვირა დარჩა.

ჰატჩისონის აზრით, ამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მეშვეობით „რუსეთს ნატო-ს დასუსტება შეუძლია“. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ ორივე იარაღის შეძენა დაუშვებელია.

ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთს შეუძლია შეინარჩუნოს კონტროლი თურქეთისთვის გადაცემულ სისტემებზე და მიიღოს ინფორმაცია იმავე თურქეთში „ეფ35“-ის ფრენების თაობაზე.

4 ივნისს თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ „ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს იმაზე, რომ თურქეთმა უარი თქვას რუსული „ეს-400“-ის შეძენაზე.

# ჩინეთი ირანის მიმართ თავშეკავებისკენ მოუწოდებს



ჩინეთის ლიდერმა სი ცზინპინმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში ვითარება დაიძაბა.

ჩინელმა ეს ირანზე აშშ-ის ზეწოლის გაძლიერებით ახსნა.

– ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს მოვუწოდებ, რომ ირანის მიმართ სიფრთხილე გამოიჩინონ, – ამბობს სი ცზინპინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# პრაღაში 120.000-მა ადამიანმა პრემიერის გადადგომა მოითხოვა



ჩეხეთის დედაქალაქის ცენტრში ვაცლავის მოედანზე მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა. მასში 120.000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ ამ მასშტაბის აქცია აქ არ გამართულა.

აქციის მონაწილეებმა პრემიერ ბაბიშის გადაყენება მოითხოვეს. მიზეზი მის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა. ბაბიშს როგორც მედიაზე ზეწოლაში, აგრეთვე კორუფციაში სდებდნენ ბრალს. კერძოდ, ამტკიცებენ, რომ ევროკავშირისგან მიღებული სუბსიდიები მან საკუთარ ფირმას გადაურიცხა.

– ახლა ფირმა ფორმალურად სხვაზეა გაფორმებული, მაგრამ მისი რეალური პატრონი ბაბიშია, – ამტკიცებენ მანიფესტანტები.

# სუდანში დარბეული 40 დემონსტრანტის ცხედარი ნილოსში იპოვეს



სუდანში, ოპოზიციის აქტივისტების ინფორმაციით, ნილოსიდან 40 ადამიანის ცხედარი ამოიღეს, რომლებიც ორი დღის წინ დემონსტრანტების დარბევის შედეგად, დაკარგულებად მიიჩნეოდნენ.

შესაბამისად, დემონსტრაციის დარბევის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 100 კაცს მიაღწია. დაჭრილების თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

გარდამავალმა სამხედრო საბჭომ, რომელიც სუდანს აპრილიდან მართავს, ინციდენტის გამოძიების პირობა დადო.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სუდანში მომხდარი ძალადობის გამო შეშფოთება გამოთქვა. აშშ-ის ოფიციალური პირები დაუკავშირდნენ საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ხალიდ ბინ სალმანს და სუდანში ხელისუფლების სამოქალაქო პირების ხელში გადასვლის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ.

საუდის არაბეთი სუდანელი სამხედროების მთავარი მოკავშირეა.

## კალეიდოსკოპი

# სპილოები სპორტსმენებს გამოეკიდნენ და ხორთუმებით სცემეს



ტაილანდის პროვინცია ჩონბურიში 25 კილომეტრიანი გარბენის დროს, სპორტსმენები გარეული სპილოების ჯოგს გადააწყდნენ. ინციდენტის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპილოები სპორტსმენებს დისტანციის მეათე კილომეტრზე ელოდებოდნენ. მეტყევეებმა მათი განდევნა თოფის სროლით სცადეს, თუმცა არაფერი გამოუვიდათ. ამიტომ სპორტსმენებს თავის გადასარჩენად გაქცევა მოუხდათ.

ერთ-ერთი სპორტსმენი ქალი იმ დროს დაშავდა, როდესაც სპილომ მას ხორთუმი ჩაარტყა. მეორე მორბენალი გოგონა დაეცა და ხელი მოიტეხა. დაშავებულებს პირველადი დახმარება მეტყევეებმა აღმოუჩინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მეორე დღეს სპორტსმენები ადგილობრივმა ჩინოსანმა, გარბენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ტრაკუნ სავან-აროემმა მოინახულა. მან განაცხადა, რომ ხმები სპილოს მიერ მორბენალის გასრესვის თაობაზე, სიმართლეს არ შეესაბამება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### შეიძინეთ წიგნებს!

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველოს ნაკრები პრობლემებით ვარჯიშობს



საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისსა და კოპენჰაგენში დაგეგმილი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებისთვის მზადებას აგრძელებს. გუნდი 26 ფეხბურთელით კი არის შეკრებილი, მაგრამ 4 მათგანი – სოლომონ კვერკველია, გიორგი ნავალოვსკი, გიორგი პაპუნაშვილი და ლევან მჭედლიძე – ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

როგორც ჩანს, ვლადიმირ ვაისს სხვა ფეხბურთელების გამოძახებაც მოუწევს, რადგან თავდასხმაში პრაქტიკულად პოლონური კორონას შემტევის, ვატო არველაძისა და ყაზახური თარაზის ფეხბურთელის – ელგუჯა ლობჯანიძის ამარა ვრჩებით. დაგვეთანხმებით, სასურველი შემტევითი პოტენციალი არ იკვეთება.

ასევე ცუდი ფაქტი იქნება პაპუნაშვილის არყოფნა, რომელიც ტრავმის შემდეგ, როგორც იქნა, ათამაშდა, მაგრამ...

ვერ ვიტყვით, რომ გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით არის. ერთია, საინტერესო იქნება ახალი სახეების ნახვა და ნაკრებთან შეგუება, თუ ამის შანსი მიეცემათ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა სადღეისოდ ასეთია:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (უგუნდო), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი) ლაშა დვალი(ფერენცვაროში, უნგრეთი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ვაკო გვილია (გურნიკი, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი);

**თავდამსხმელები:** ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ელგუჯა ლობჯანიძე (თარაზი, ყაზახეთი).

შეგახსენებთ, რომ ჩვენები 7 ივნისს შინ გიბრალტარს დაუხვდებიან, ხოლო 10 ივნისს დანიას ესტუმრებიან.

# ბითაძემ ჯილდო იოკიჩისგან ჩაიბარა

19 წლის ქართველმა კალათბურთელმა გოგა ბითაძემ მორიგი პრესტიჟული ჯილდო მიიღო. ჩვენებურმა ამჯერად სერბეთის ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის (მვპ) ტიტული დაიმსახურა, რომელიც მას ნბა-ს სერბმა ვარსკვლავმა ნიკოლა იოკიჩმა გადასცა.



საინტერესოა, რომ გოგას ყველაზე ხშირად სწორედ დენვერ ნაგეთსის ცენტრს ადარებენ, ამდენად, ერთგვარი სიმბოლური ჟესტიც იყო. ეს ყველაფერი სერბული ლიგის მე-2 ნახევარფინალური მატჩის წინ მოხდა, რომელშიც ბითაძის მეგა ბემაქსმა ცრვენა ზვეზდასთან 91:96 წააგო და სერია 0:2 დათმო.

სეზონის დასკვნითი შეხვედრა ბითაძისთვის შედეგიანი ნამდვილად არ ყოფილა. ქართველი ლეგიონერი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 25 წუთში 5 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

გოგამ 5-დან 1 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 2-ჯერ დაუფარეს, 5 პერსონალური ფოლი მიიღო.

ამგვარად, ბითაძემ სერბულ მეგა ბემაქსში ბოლო მატჩი ჩაატარა და ახლა მთელ ყურადღებას ნბა-ს მომავალ დრაფტს მიაპყრობს, რომელიც 20 ივნისს გახლავთ დაგეგმილი.

სეზონი დასრულდა გიორგი შერმადინისთვისაც. ქართველი ცენტრის გუნდმა უნიკახამ, რომელმაც მეოთხედფინალური სერია ვალენსიაში გასვლითი გამარჯვებით გახსნა, ზედიზედ 2 მარცხი განიცადა და სერია 1:2 დათმო. შეგახსენებთ, რომ მანამდე მეოთხედფინალიდან თორნიკე შენგელიას ბასკონია გავარდა, რომელმაც სარაგოსასთან 0:2 წააგო.

დავუბრუნდეთ შერმადინს: სერიის მე-3, გადამწყვეტი შეხვედრა ვალენსიაში გაიმართა და მასპინძელი გუნდის გამარჯვებით – 79:76 დასრულდა. ჩვენებური სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 19 წუთში 14 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 პასი მიითვალა. გიორგიმ 7-დან 5 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო. შედეგად, ქართველმა ცენტრმა საკუთარ გუნდში ყველაზე შედეგიანად ითამაშა – მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 14 გახლდათ.

# იურგენ კლოპი: „ლივერპულის პროგრესი გაგრძელდება“

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის, ლივერპულის მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპს აქამდე ორი ფინალი წაეგო. ერთი დორტმუნდის თავკაცობისას, ერთიც გასულ წელს, ლივერპული რეალთან რომ დამარცხდა. კლოპს წაგებულის ფსიქოლოგიაზეც „ედავებოდნენ“, თუმცა, უკვე გამარჯვებულია.

გერმანელ სპეციალისტს უმალ დაუკავშირდა გერმანული მედია და ინტერვიუც ჩამოართვა.

***– დორტმუნდში გერმანიის ჩემპიონი გახდით და დუბლიც შეასრულეთ, ახლა კი ევროპას ზემოდან დაჰყურებთ. ჩემპიონთა ლიგის თასი თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულია?***

– ტიტულების შედარების წინააღმდეგი ვარ. დორტმუნდში მუშაობის პერიოდშიც ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულები მოვიგე. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის მოგება მეხმარება.

***– რაში?***

– სამსახურისთვის ახლა უკვე პრიორიტეტული არგუმენტები მაქვს. რამდენჯერ გამიგია, მწვრთნელმა რაღაც მაინც უნდა მოიგოსო. ჰოდა, ეს გავაკეთე.

***– ჩემპიონთა ლიგის 2 ფინალი გქონდათ წაგებული და ეს გამარჯვება თქვენთვის ევერესტის დაპყრობასავით უნდა იყოს.***

– კარგი შედარებაა. მე ვიტყოდი, რომ ნახევარფინალში ბარსელონას დამარცხება 8.000-იანი მწვერვალის დაპყრობა იყო, ფინალი კი ამ მწვერვალიდან წარმატებული ჩამოსვლა. ფაქტია, რომ ყველაფერი ახლა სიმშვიდეში უნდა გავაანალიზო.

***– ლივერპულში ახალ ერას იწყებთ?***

– ეს ნამდვილად არ იქნება მსოფლიო ფეხბურთში ახალი ბატონობის დასაწყისი. ჩვენ ვიცით, რომ სხვა გუნდები უსაქმოდ არ იქნებიან. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ გვყავს გუნდი, რომელსაც განვითარების პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია – უბრალოდ, შარშანდელთან შედარებით პროგრესი განიცადა და ეს პროცესი გაგრძელდება.

***– უფრო კონკრეტულად?***

– ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის ტიტულებს ვერ მოვიგებთ და არც ვართ ვალდებულები, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს ახალგაზრდული გუნდი კიდევ უნდა განვითარდეს და მოტივირებული, დამშეული უნდა იყოს.

***– ემოციურად გადაღლილი ხართ?***

– მიუხედავად იმისა, რომ მადრიდში ტრიუმფის შემდეგ მხოლოდ 2 საათი მეძინა, ლივერპულის ქუჩებში თასით სიარულმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ნანახმა მოლოდინს დიდად გადააჭარბა.

***– იმის გამო, რომ ნახევარი მილიონი ადამიანი ქუჩებში გამოვიდა?***

– პირდაპირ გეტყვით, ეს სიგიჟე იყო. ემოციურად მართლაც ძალიან დაღლილი ვიყავი. ახლა სწორედ ამ ვიდეოებს ვუყურებ და ვახარისხებ, ვინახავ.

***– ლივერპულში უკვე მესიას გიწოდებენ. წნეხს არ გრძნობთ?***

– უბრალოდ, ამ ყველაფრის ერთი ნაწილი ვარ. რა თქმა უნდა, ვხედავ და ვგრძნობ, როგორ ვუყვარვარ ხალხს ლივერპულში. საბედნიეროდ, ჩვენი ფანები ყოველთვის ხედავენ, რომ წარმატებისთვის ბოლომდე ვიბრძვით და არაფერს ვიშურებთ.

***– ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ გუნდის მოტივირება არ გაგიჭირდებათ?***

– სისულელეა. ეს ტურ დე ფრანსივითაა. მართალია, ლიდერს ყვითელი მაისური აქვს, მაგრამ ეს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ დაიძინოს.

***– არ გეშინიათ, რომ სალაჰის, მანეს ან ვან დეიკის გადაბირებას ბარსელონა ან რეალი მოისურვებენ?***

– ვფიქრობ, ფეხბურთელებმა კარგად იციან, რაოდენ გასაოცარ გუნდში თამაშობენ და ამიტომ ამაზე არ ვნერვიულობ.

***– ახლა ალბათ უკვე გაგიადვილდებათ ისეთი ფეხბურთელების შეძენა, როგორებიც მატეის დე ლიხტი ან ხამეს როდრიგესი არიან. თანაც, ფინანსები უკვე საკმარისზე მეტი უნდა გქონდეთ.***

– ნამდვილად არ მაქვს ისეთი გრძნობა, რომ გუნდში ძალიან დიდი ინვესტიციები უნდა ჩავდოთ. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ გვყავს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც გააგრძელებს განვითარებას.

***– ფრანც ბეკენბაუერმა მიუნხენის ბაიერნში გისურვათ. კაიზერს ამ სურვილს არ შეუსრულებთ?***

– ფრანცი მიყვარს და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ლივერპულში ხანგრძლივი კონტრაქტი მაქვს.

***– ეს იმას ნიშნავს, რომ ბაიერნის მწვრთნელად ვერასდროს გიხილავთ?***

– მიხარია, როცა ფრანც ბეკენბაუერი ჩემზე ასეთ რამეს ამბობს, მაგრამ ბაიერნსაც და დორტმუნდის ბორუსიასაც ძალიან კარგი მწვრთნელები ჰყავთ. რა იქნება 5 ან 6 წელიწადში, ეს კი ნამდვილად არ ვიცი. იქნებ, მომავალში სულ სხვა მწვრთნელები გამოჩნდნენ.

***– პრემიერლიგაში 97 ქულა აიღეთ და ჩემპიონი მაინც მანჩესტერ სიტი გახდა.***

– სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი ზუსტად 3 წუთში დავივიწყე. ჩვენ საუკეთესო სეზონი ჩავატარეთ, რომლითაც ძალიან ვამაყობთ. ბრწყინვალე სეზონი ტოტენჰემთან გამარჯვებით და ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფით დასრულდა.

***– ოქროს მედალი მეუღლე ულას მიუძღვენით.***

– ძალიან გაუხარდა! მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ადამიანები ვართ, ჩვენ ერთი ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს, ჩვეულებრივი, ადამიანური გრძნობებით. ახლა შვებულებაზე ვფიქრობთ, მაგრამ ვერ გეტყვით, სად ვაპირებთ წასვლას. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან, ძალიან შორს მივდივართ.



# 20 წლამდე ნაკრებმა ზელანდიასთან იბრძოლა



უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ მატჩში, ტურნირის რეკორდსმენ და ფავორიტ ახალ ზელანდიას დიდი ბრძოლა გაუმართა, თუმცა მატჩი 13:45 დათმო.

ტურნირის დაარსების დღიდან, ანუ 2008 წლიდან დღემდე თასი ყველაზე მეტჯერ „ბეიბი ოლ ბლექსმა“ შემართა (6) და უახლოეს მდევარ ინგლისს სამით უსწრებს. ახალი ზელანდიის 20-წლამდელთა ნაკრებს პირველად 2016 წელს, სადებიუტო მატჩში შევხვდით და მაშინ მეტოქემ 55:0 იმარჯვა, ამჯერად კი სხვაობა თითქმის განახევრდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გუნდმა სრული შემადგენლობით ითამაშა და დიდი ხნის განმავლობაში მრისხანე მეტოქეს მცირედით ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს სხვაობა დასკვნით წუთებში, კონტრშეტევებისას გაიზარდა.

საქართველოს ნაკრებმა თამაში თამამად დაიწყო, მეტოქე ზედიზედ ორჯერ დააჯარიმა და მე-7 წუთზე თედო აბჟანდაძემ ანგარიში გახსნა. მალე მეტოქე მოედანზე 10 წუთით კაცნაკლული დარჩა, მაგრამ ჩვენივე შეცდომებით ისარგებლა და 12:3 დაწინაურდა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა წნეხი გაზარდეს და 12-ფაზიანი შეტევის შემდეგ ახალი ზელანდია ლელოს ძლივს გადაურჩა, თუმცა მალევე აბჟანდაძემ ჯარიმა 3 ქულად აქცია.

36-ე წუთზე ახალმა ზელანდიამ მესამე ლელო გაიტანა. უმცროს ბორჯღალოსნებს პასუხის გაცემის დიდი შანსი ჰქონდა, თემურ ჭიჭინაძემ ხაზი გაჭრა და ფრთაზე დემე თაფლაძე გაიქცა, მაგრამ ის ბოლო მომენტში აუტში გადაიყვანეს.

საქართველომ მეორე ტაიმიც მოტივირებულმა დაიწყო, ჯარიმები კარში აღარ დაარტყა, 43-ე წუთზე დერეფნიდან კარგი მოლი დააყენა, რომელსაც სამკაციანი ჯგუფი მოწყდა და ვახტანგ ჯინჭარაძემ ლელო დაამიწა, აბჟანდაძემ კი გარდასახა – 19:13.

უმცროს ბორჯღალოსნებს შეტევაში მცდელობა არ დაუკლია, თუმცა უმეტესად კონტრშეტევებზე ლელოები თავად გაუშვა და ახალმა ზელანდიამ 45:13 იმარჯვა.

ილია მაისურაძის შეგირდები მომდევნო შეხვედრას 8 ივნისს სამხრეთ აფრიკასთან გამართავენ, რომელმაც პირველ ტურში შოტლანდია 43:19 დაამარცხა.

***თედო აბჟანდაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:***

– ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. თუმცა ბოლო 20 წუთში დაცვაში შეცდომები დავუშვით, რაც თამაშის წაგებად დაგვიჯდა. ჩვენ განვაგრძობთ საკუთარ შეცდომებზე მუშაობას. შემდეგი თამაში სამხრეთ აფრიკასთან გვაქვს და ახლა ამ შეხვედრისთვის უნდა მოვემზადოთ.

***კიანუ კერერუ ნიმსი, ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი:***

– პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი ლელო დავდეთ, თუმცა ეს არ იყო დაგეგმილი ლელოები. საკუთარი სტრუქტურის მიხედვით არ ვთამაშობდით, ასე რომ, ეს ძალიან კარგი შედეგია ჩვენთვის. ვიცოდით, რომ შესვენების შემდეგ ქართველები უფრო მჭიდროდ გვეთამაშებოდნენ და ასეც მოიქცნენ. თუმცა თამაშში ჩვენი სქემის შენარჩუნება შეცვლების შემდეგაც შევძელით და ეს ჩვენთვის დიდი პოზიტივი იყო. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი სტარტი გამოგვივიდა.

**საქართველოს ნაკრებმა ზელანდიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა:** ჭიჭინაძე, ქავთარაძე, თაფლაძე, ცინცაძე, მარჯანიშვილი, აბჟანდაძე, ალანია; ღვალაძე, ნიორაძე, აზარიაშვილი, ჯინჭარაძე, გელაშვილი, გუშარაშვილი, კოლოტაური, ყორიაული.

**შეცვლაზე შევიდნენ:** კარკაძე, თევდორაშვილი, ხარაიშვილი, იაშაღაშვილი, გვიმრაძე, მარგალიტაძე, მარგიანი, ლომიძე.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ინფანტინო ისევ ფიფას პრეზიდენტია




საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ფიფას კონგრესზე იტალიური წარმოშობის შვეიცარიელი ჯანი ინფანტინო ფიფას პრეზიდენტად მეორედ აირჩიეს და 49 წლის საფეხბურთო ფუნქციონერი მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს 2023 წლამდე უხელმძღვანელებს.

პრინციპში ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან ინფანტინოს კონკურენტი არ ჰყავდა, რის გამოც ფიფას პრეზიდენტის თანამდებობაზე მისი დარჩენა, ფაქტობრივად, წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

ინფანტინოს არჩევის შემდეგ ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ, აი რა თქვა, სანამ არჩევნები ჩატარდებოდა:

– დიახ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ შეცდომები დავუშვით, მე დავუშვი შეცდომები! მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ადამიანმა შეცდომებზე უნდა ისწავლოს და შეეცადოს, რომ ყველაფერი უკეთ გააკეთოს.

გასული 3 წლისა და 4 თვის განმავლობაში, ეს მოწამლული, თითქმის კრიმინალური ორგანიზაცია გადაიქცა ისეთად, როგორიც უნდა იყოს. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ფეხბურთზე ზრუნავს, ავითარებს მას.

ფიფაზე საუბრისას ახლა აღარავინ ახსენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა კრიზისი, სკანდალები ან კორუფცია.

ჯანი ინფანტინო 2009-დან 2016 წლამდე უეფას გენერალური მდივანი იყო, 2016 წლის თებერვალში კი მან ფიფას პრეზიდენტის თანამდებობაზე ზეპ ბლატერი შეცვალა.

# მარადონა მანჩესტერს – ტიტულები თუ გინდათ, აგერ ვარ



არგენტინელი საფეხბურთო ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა მანჩესტერ იუნაიტედს მთავარი მწვრთნელის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს.

ცნობისთვის, მარადონა ამჟამად მექსიკის მეორე დივიზიონში საფეხბურთო კლუბ დორადოსს წვრთნის. არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბოლო წლებში არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მუშაობდა, გასულ წელს კი თავისი ამჟამინდელი სამუშაო ჩაიბარა.

მარადონამ თავისი ამბიციები გაამხილა და მიაჩნია, რომ „წითელი ეშმაკების" მწვერვალზე დაბრუნება მას შეუძლია.

**დიეგო მარადონა:**

– თუ მანჩესტერს მწვრთნელი სჭირდება, მე შემიძლია მუშაობა. ვიცი, რომ მანჩესტერელები მსოფლიოს მასშტაბით ბევრ მაისურს ყიდიან, მაგრამ მათ ტიტულების მოგებაც სჭირდებათ. ამის გაკეთება კი მე შემიძლია.

მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისურ ფეხბურთში დიდი ხანი იყო ჩემი საყვარელი კლუბი. რამდენმა დიდებულმა ფეხბურთელმა და შემადგენლობამ გაიარა ალექს ფერგიუსონის ხელში! მაგრამ ახლა მანჩესტერ სიტი უფრო მომწონს. ყველაფერი კუნ აგუეროს გამოა. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და ის ძალიან კარგ გუნდში თამაშობს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამურაის ხმლებით შეიარაღებულმა მძარცველებმა ძვირფასეულობა გაიტაცეს



მალაიზიის პინანგის შტატის ქალაქ ბატერვორსში სამურაის ხმლებით შეიარაღებულმა მძარცველებმა გაიტაცეს ავტომობილი, რომელსაც ძვირფასეულობა გადაჰქონდა.

საიუველირო მაღაზიის მენეჯერს და მის კოლეგას ძვირფასეულობა სხვა ქალაქში მიჰქონდათ. სავაჭრო ცენტრიდან 300 მეტრში მათი ყველგანმავალის წინ მოულოდნელად თეთრი სედანი გაჩერდა. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა, მაგრამ შეჯახება თავიდან მაინც ვერ აიცილა.

ავტომობილში ოთხი ნიღბიანი სამურაის ხმლებით შეიარაღებული მამაკაცი იჯდა. როდესაც ისინი ყველგანმავალისკენ გაემართნენ, მაღაზიის თანამშრომლები შეეცადნენ უკანა სვლით დაეძრათ მანქანა, თუმცა ამაში მათ ხელი უკან გაჩერებულმა პიკაპმა შეუშალა. იქიდან კიდევ ორი ნიღბიანი და ხმლებით შეიარაღებული მამაკაცი გადმოვიდა.

მძარცველებმა მანქანის მინა ხმლებით ჩაამტვრიეს, მენეჯერი და მისი კოლეგა ყველგანმავალიდან გადმოათრიეს, თავად მათ მანქანაში ჩასხდნენ და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ. გატაცებულ მანქანაში ჩანთებით ხუთი კილოგრამი ძვირფასეულობა ეწყო.

# მომაბეზრებელმა ბეჰემოთმა ფლეგმატური მარტორქა შეაწუხა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მალა-მალას კერძო ნაკრძალში ტურისტები თვითმხილველები გახდნენ კონფლიქტის, რომელიც ბეჰემოთსა და მარტორქას შორის წარმოიშვა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიში კრიუგერის ეროვნული პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ბეჰემოთი კვალდაკვალ მიჰყვებოდა მარტორქას და გაუთავებელი ყნოსვითა და ლოკვით აწუხებდა. როდესაც მეორე ცხოველი მისკენ ტრიალდებოდა, ის პირს აღებდა და უკან არ იხევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გადამეტებული „ყურადღებისგან" შეწუხებულმა მარტორქამ ბეჰემოთს ურქინა. ამის შემდეგ ბეჰემოთი მას გარკვეული დროით გაეცალა, თუმცა მალე ისევ დაბრუნდა.

– ვფიქრობ, რომ ბეჰემოთი თავს მარტოსულად გრძნობდა და მოწყენილი იყო, ან უბრალოდ ცნობისმოყვარეობას ჰყავდა შეპყრობილი, – აღნიშნა ვიდეოს ავტორმა, ნაკრძალის თანამშრომელმა მაიკ კირკმანმა. მისი თქმით, დანარჩენი ბეჰემოთები იმ ადგილს გვალვის გამო გაეცალნენ.

– არ ვიცი ეს ყველაფერი რითი დასრულდა, თუმცა შემდეგ დაშავებული ცხოველები არ შეგვინიშნავს, – აღნიშნა მან, – აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.

# ათი წლის გოგონამ ორი წლის და დახრჩობას გადაარჩინა



ამერიკის ჯორჯიის შტატში გოგონამ წყლიდან თავისი უმცროსი და ამოიყვანა, რომელიც კინაღამ აუზში დაიხრჩო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ხტება წყალში მაშველი რგოლით ორი წლის კალი დალისი, რომელიც გადაყირავდა და თავით ქვევით, ხოლო ფეხებით ზევით მოექცა. ის წყალზე თავის შემაგრებას ცდილობდა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ წყალში ჩაძირვა დაიწყო. მისი ათი წლის და ჯაილა, რომელიც აუზის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, მაშინვე მის საშველად გამოემართა. მან კალი წყლიდან ამოიყვანა და ცდილობდა გადაყლაპული წყალი ამოენთხევინებინა. ამ დროს მათთან დასახმარებლად მშობლებმაც მიირბინეს.

კალი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე შეაერთეს. ექიმები მშობლებს საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდნენ, თუმცა გოგონა გამოჯანმრთელდა და მალე სახლშიც დაბრუნდა.

– ეს საოცრებაა, სასწაულია, – განაცხადა გოგონების დედამ, დანეშია დალისმა, – თვალს ნუ მოაცილებთ თქვენ ბავშვებს, სამაშველო რგოლი ყოველთვის ვერ იქნება საიმედო.

# სტუდენტმა ცხვირის ცემინებით ფულის შოვნა დაიწყო



ბრიტანელმა სტუდენტმა გოგონამ აღმოაჩინა, რომ ცხვირის ცემინებას უფრო მეტი შემოსავალი მოჰქონდა, ვიდრე ოფიციანტად მუშაობას.

18 წლის ები ჰეივუდი ქალაქ ლიდსის სამხატვრო სკოლაში სწავლობს. ერთხელაც, ხატვის დროს, სამი საათის განმავლობაში მან 37-ჯერ დააცემინა. ვიდეო, რომელზეც მისი ცხვირის ცემინებაა ასახული, იუთუბიში გამოქვეყნდა და მოულოდნელად საკმაოდ პოპულარული გახდა. გოგონა მიხვდა, რომ ამით შემოსავლის მიღება შეიძლებოდა და გადაწყვიტა კამერის წინ ცხვირი დაეცემინებინა და შემდეგ ვიდეოჩანაწერი გაეყიდა.

ფეტიშისტები 100 ფუნტ სტერლინგს იხდიან ვიდეოში, რომელშიც გოგონა აკეთებს იმას, რასაც სთხოვენ. მაგალითად, ცხვირს აცემინებს და ფეხებს წევს, ან აცემინებს და რაღაცას ამბობს.

– ერთხელ ვიღაცას მოუნდა, რომ დამეცემინებინა და შემდეგ საზოგადოებრივ ტუალეტში შევსულიყავი, – ყვება ჰეივუდი. მან აღნიშნული შეკვეთა ჰენრი მურის ინსტიტუტეს ტუალეტში გააკეთა, სადაც ქანდაკებას ასწავლიან და იცოდა, რომ იქ ამას არ მოიწონებდნენ.

ფულის მაგივრად მამაკაცმა გოგონას ასი ფუნტის კუპონი გამოუგზავნა, რომლითაც ერთ-ერთ სუპერმარკეტში სასურველ ნივთებს შეიძენდა.

ჰეივუდი ამტკიცებს, რომ ხუთ წუთში 11-ჯერ დაცემინება შეუძლია. ფეტიშისტებისთვის განკუთვნილი ვიდეოები გოგონას სწავლის ქირის გადახდაში ეხმარება და აღარ ეშინია იმის, რომ უფულობის გამო შესაძლოა სწავლის მიტოვება მოუხდეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 6 ივნისისთვის



**ვერძი** – გონიერებას მოუხმეთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, სიტუაცია კარგად აწონ-დაწონეთ. **კურო** – მიზნის მიღწევაში შეუპოვრობა და სიჯიუტე დაგეხმარებათ. უკან ნუ დაიხევთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ და მოტყუებული დარჩებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი და ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. თავს ძალიან კარგად გრძნობთ. **ლომი** – მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ქალწული** – თუ ახალი სამსახური შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით. ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** – მცდარი ინფორმაცია თქვენს გეგმებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** – ცვლილებები შეიტანეთ ყოფაში, გარეგნობაში. ახალი იმიჯი წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ყველაფერში გიმართლებთ. ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ. **თევზები** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე, სათნოება. თქვენს აზრს გარშემომყოფები ანგარიშს გაუწევენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დედათა მონასტერი ფარავანის ტბის მახლობლად: 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ქართველი მეცნიერი; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

**თარაზულად:** 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც წყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 12. ბოსტნეულის მავნებელი მატლი; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 17. დენის წინაღობის საზომი ერთეული; 13. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ბრაზილიური არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ხორბალი; 2. ლაქშმი; 3. თერაპევტი; 4. ტირადა; 5. სეფინგი; 7. იკეა; 11. იმერეთი; 13. ვარაუდი; 15. ელესა; 16. კომლი; 18. ნანდუ; 19. რუპია.

**თარაზულად**: 6. ოქსინო; 8. ბარნელა; 9. ტერტერა; 10. ანტალია; 12. კირხე; 14. იაზონი; 17. ტერენკური; 20. გრეგორი; 21. ესკიზი; 22. დევიზი; 23. მიკიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პუმა; 2. ეროტი; 3. გრიგი; 5. სეგუნი; 6. ლაშარელა; 9. ტროპოსფერო; 10. ჰართფილდი; 11. იაკოტორია; 14. ლია; 16. შაპიტო; 18. სიტე.

**თარაზულად**: 1. პლზენი; 4. მისტრალი; 7. ქორალი; 8. გოლეული; 12. ლორია; 13. ალკალა; 15. მთიები; 17. უფა; 19. ბურგომისტრი; 20. სოტბი; 21. მერანო.

# ნინო ჩხეიძემ კლიპის პრეზენტაცია გამართა



მომღერალმა ნინო ჩხეიძემ კოლეგები, ჟურნალისტები და რიგითი მსმენელები თავისი ახალი ვიდეორგოლის შესაფასებლად შეკრიბა.

ნინომ და მისმა ბენდმა „ნიობენდმა" ახალი კლიპი ძველ თბილისში გადაიღეს.

კლიპის პრეზენტაციას მომღერლები, კომპოზიტორები, მწერლები, პოეტები, მხატვრები და საზოგადოების სხვა ცნობილი პირები ესწრებოდნენ.

ვიდეორგოლის ჩვენების დასრულება დამსწრე საზოგადოებამ ოვაციებით და მხურვალე აპლოდისმენტებით აღნიშნა.

როგორც ნინო ჩხეიძემ განაცხადა, თავის ერთგულ მსმენელს ის მომავალშიც არაერთ სიახლეს შესთავაზებს.

# პეტრე ოცხელით გერმანია დაინტერესდა



SEITE 10 · DIENSTAG, 4. JUNI 2019 · NR. 128

Literatur und Sachbuch

**Wen der Kriegsgott als Geisel nimmt**

Frühvollendet: Ein bibliophiler Bildband über den georgischen Bühnenkünstler Petre Otskheli

*Stählerne Glieder der Vernichtung: Petre Otskhelis Kostümentwurf für den Feldherrn Othello aus dem Jahr 1933*

KERSTIN HOLM

ცნობილი ქართველი მხატვრის პეტრე ოცხელის შემოქმედებით გერმანია დაინტერესდა.

ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გაზეთმა „ფრანკფურტ ალგემაინე" ქართველ მხატვარს მეთაური სტატია მიუძღვნა:

– ქართული კულტურის და პეტრე ოცხელის კიდევ ერთი მსოფლიო დონის აღიარება.

გაზეთმა „ფრანკფურტ ალგემაინე" ქართველ მხატვარს მეთაური სტატია მიუძღვნა. რეცენზია ეთმობა იმ წიგნს, რომელიც ხელოვნების სასახლის ხელშეწყობით გერმანულმა გამომცემლობამ, კერძოდ ბატონმა ვლადიმირ ველმინსკიმ გამოსცა. ეს საქმე არ გამოვიდოდა, რომ არა ჩვენი სამინისტროს და, კერძოდ, მიხეილ გიორგაძის მხარდაჭერა. სწორედ ამ მხარდაჭერის საფუძველზე ხელოვნების სასახლე გერმანიის სამუზეუმო წრეებისთვის გახდა ცნობილი.

დიდი მადლობა წიგნის ეროვნულ ცენტრს დეა მეტრეველს და იკი ჭოლოშვილს, ასევე ბატონ კოტე ჯანდიერს, რომელთაც ბევრი იღვაწეს ამ საქმის წარმატებისთვის!

მაშ ასე, პეტრე ოცხელი კუთვნილ მსოფლიო აღიარებას თანდათან იკრებს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნაირა ბლიაძე-ჩოჩიას გახსენება



ჩვენო საყვარელო ნაირა! მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალების ამბავი. მუდამ სიცოცხლით სავსე, მომღიმარი, იმედიანი მახსოვხარ, დაუშრეტელი ენერგიით. ძალიან ადრე დაქვრივდი. დაგრჩა ორი პატარა ანგელოზი, მათთვის თავს არ ზოგავდი, თუმცა, მაშინდელ საქართველოში არსებობა ჭირდა და ქალმა, რომელსაც ერთი საათითაც კი შვილები გვერდიდან არ მოუცილებია, დატოვე ყველა და ყველაფერი და სრულიად უცხო ქვეყანაში – ამერიკაში გადაიხვეწე. ჩემთვის შენცა და ყველა შენნაირი ქალი გმირები ხართ, ჩვენი დროის გმირები. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვამბობ: თქვენ სახელმწიფომ ძეგლი უნდა დაგიდგათ – თქვენ საქართველო გადაარჩინეთ!!!

ოცდამეერთე წელიწადი დაიწყო, რაც წასული ხარ. დაუსწრებლად დააფრთიანე შვილები – ისინი უკვე შემდგარი ადამიანები არიან, შვილიშვილებს კომპიუტერით იცნობდი, ერთხელაც არ მოფერებიხარ, ბოლომდე გაიხარჯე, ყველას პატივისმცემელი იყავი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი – დიდი გულის ქალი!

სამწუხაროდ, ამდენი წლის განშორებამ, ცხოვრების ძალიან დაძაბულმა რიტმმა ჯანმრთელობა შეგირყია. ჩვენ, შენი ახლობლები და მეგობრები აქეთ გელოდით მოუთმენლად, რა ვიცოდით, რომ შენ საყვარელ საქართველოში დაბრუნება აღარ გეწერა!

სიკეთის კეთების დიდი ნიჭით დაგაჯილდოვა განგებამ. სწორედ დედამიწაზე გაკეთებული სიკეთის მადლი წაგიძღვება იმ ქვეყანაში და სასუფეველს დაგიმკვიდრებს. ჩვენ კი, აქ დარჩენილები, ვილოცებთ შენი სულისათვის და სანამ ცოცხლები ვართ, არ დაგივიწყებთ.

მეგობრების სახელით, ***ლუიზა თომაძე***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „გურული დღიურების" სამივე წიგნი ერთ ტომად გამოიცემა




მწერლისა და პოეტის გიორგი კეკელიძის ყველაზე პოპულარული წიგნი „გურული დღიურები" ერთ ტომად გამოიცემა. მასში სამივე ტომი შევა და მკითხველს ნაწარმოების ერთიანად წაკითხვა შეეძლება.

**გიორგი კეკელიძე:**

– 10 ივნისს, გურული დღიურების სამივე წიგნი ერთ ტომად გამოიცემა. იკითხე ქართულის სერიით, პირველად „კვირის პალიტრასთან" ერთად გაიყიდება, მერე წიგნის მაღაზიებშიც.

ჩემთვის, ეს წიგნები წარსულთან ფრაგმენტული დაბრუნების და წინაპრებთან, უფრო მამაჩემთან გასაუბრების მცდელობა იყო, პროფესიულად კი, დიდ პროზაში გადასვლისთვის მომზადება – ცხადია, დღემდე თავს ჯერაც უკეთეს პოეტად ვთვლი, ვიდრე პროზაიკოსად. მიხარია, რომ ამ მოგონებებისა და პატარა ისტორიების შთაგონებით დღეს მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებზე ვმუშაობ.

მიხარია ისიც, რომ ამ წიგნის სახელობის ფონდი დავაარსეთ, რომელსაც საქართველოს რაიონებში უკვე ათობით სახელობითი სტიპენდიატი მოსწავლე და სტუდენტი ჰყავს.

რაც შეეხება წიგნის წარმოუდგენელ წარმატებას ბესტსელერობის განხრით, რამაც ზოგი გაალიზიანა კიდეც, ამის გამო, ბოდიში საჯაროდ არაერთხელ მომიხდია და ამ ერთტომეულის გამოსვლის შემდეგაც რამდენჯერმე ვაპირებ.

# ეთნიკური აზერბაიჯანელი შირვან ალიევი აღიარებს, რომ დავითგარეჯი საქართველოსია



ეთნიკური აზერბაიჯანელი შირვან ალიევი, რომელიც თელავის საპატიო მოქალაქეა, საჯაროდ აცხადებს, რომ დავითგარეჯი საქართველოს კულტურული ძეგლია:

– მე, შირვან ალიევი, ეთნიკური აზერბაიჯანელი, თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე, სოფელ ყარაჯალის მცხოვრები, სპეციალობით ისტორიკოს-ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, გულგრილი ვერ დავრჩები იმ მოვლენების შემხედვარე, რაც ხდება საქართველოს, ჩვენი დედა სამშობლოს ისტორიული მიწის, დავითგარეჯის ირგვლივ.

მე დედა სამშობლო შემთხვევით არ მიხსენებია, დიახ, საქართველო, მისი მიწა, მთა, ბარი, ჰაერი, ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივაა, საქართველოში მცხოვრები მრავალათასიანი აზერბაიჯანელის დასაცავიცაა.

დღეს ვნებათაღელვა არ წყდება დავითგარეჯის კუთვნილების შესახებ, მე, როგორც სპეციალობით ისტორიკოს-ფილოლოგი, ვაფიქსირებ, რომ ქართულ და არა მარტო ქართულ ისტორიულ წყაროებში, შავით თეთრზე დაფიქსირებულია, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურის ძველი და მეტად ღირებული ძეგლია, რომელმაც იმ დროიდან, როცა ის დაარსდა, ეს კი მოხდა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში, ერთ-ერთი ასურელი მამის დავითის მიერ, საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

მე არ ვაპირებ პოლემიკის გამართვას, ერთს კი მტკიცედ დავაფიქსირებ, რომ მე მწამს და მჯერა სამხრეთ კავკასიის ორი უძველესი ერის, ქართველების და აზერბაიჯანელების სიბრძნის და რომ ამ საკითხს მათი მთავრობები და ხალხი უმტკივნეულოდ და ბრძნულად გადაწყვეტენ, რათა, როგორც იტყვიან, „სამართალმა პური ჭამოს".

# გიორგი მახარაშვილი პოლიტიკოსებს შენობების საარჩევნო პლაკატებისგან გაწმენდას ურჩევს



მომღერალი გიორგი მახარაშვილი პოლიტიკოსებს სხვადასხვა შენობებზე, კედლებზე, ღობეებზე გაკრული მათი პლაკატების მოხსნას ურჩევს:

– ადამიანს, რომელიც საკუთარი პიარისთვის, წინასაარჩევნო პოსტერებს წებოთი აკრავს შენობებზე, ბოძებზე, გარაჟებზე, ნაგვის ურნებზე, სადარბაზოს კარზე, სამშენებლო ჯებირებზე და კიდევ მრავალ ადგილას, რომელიც წლების განმავლობაში ფრიალებს და არავინ წმენდს, მე ასეთ არც ერთ პოლიტიკოსს ხმას არ მივცემ.

ელემენტარულით დაიწყეთ ხალხის პატივისცემის მოპოვება, თორემ გამარჯვების შემდეგ რასაც მოიმოქმედებთ, ეს ისედაც ვიცით.

***კალეიდოსკოპი***

# მაიმუნმა იხვს ჭუკები შეუჭამა



ნიდერლანდების ქალაქ ამერსფოორტში მაიმუნი თავს დაესხა იხვს და მისი ჭუკები დახოცა. ამ შემთხვევის ამსახველო ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში, რომელიც ქალაქის ზოოპარკშია გადაღებული, ჩანს, თუ როგორ დგას ბაბუინი გუბეზე გადებულ ხის მორზე და თვალს ადევნებს ფრინველს და მის ნაშიერებს. როგორც კი იხვმა გარკვეული დროით ჭუკები დატოვა, ცხოველი მაშინვე მათ თავს დაესხა, ერთ-ერთი დაიჭირა და დედის თვალწინ დაგლიჯა, რომელიც ამ დროს დარჩენილი ორის დაცვას ცდილობდა.

იხვმა რამდენჯერმე შეუტია მაიმუნს, მაგრამ მან მაინც მოახერხა კიდევ ერთი ჭუკის დაჭერა. ამის შემდეგ ის ნაპირზე თავის თანამოძმეებთან გაიქცა და დაჭერილი ჭუკი შეჭამა.

რამდენიმე დღეში აღნიშნული ვიდეორგოლი დაახლოვებით 150 ათასმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გიორგი ქებურია საზოგადოებას გაჭირვებულებზე ფიქრისკენ მოუწოდებს



დიზაინერი გიორგი ქებურია სოციალურ ქსელში სხვადასხვა ძვირადღირებული საჭმელების დაუსრულებელი გაზიარებით შეწუხებულია. ის საზოგადოებას გაჭირვებულებზე ფიქრისკენ მოუწოდებს:

– აი რა და ყველაზე მეტად საჭმლის სთორების ან ფოტოების სოციალურ ქსელში შეფეთება მაღიზიანებს. მგონია, მაინც სხვა რეფლექსებს ურტყამს ამ გაჭირვებულ ქვეყანაში და რო არ გვაჩვენოთ რას ჭამთ, რამე დაგაკლდებათ? რამე შეგეცვლებათ?

ნუ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ კულინარებს ან ვინმემ თუ რამე ექსპერიმენტი გააკეთა სამზარეულოში.

99.000 ფოლოვერი რომ გყავს დ 98 ათასი აქედან, სავარაუდოდ, გაჭირვებულია, შენი ხიზილალით სავსე თეფში უნდა ანახო?

# პეტრე კოლხი: „გემუდარებით, არაფრის გამო არ მოიკლათ თავი!"



პოეტი და სასულიერო პირი პეტრე კოლხი ემუდარება საზოგადოებას, სიცოცხლე თვითმკვლელობით არაფრის გულისთვის არ დაასრულოს:

– გემუდარებით, არაფრის გამო არ მოიკლათ თავი... ამით მხოლოდ შურს საკუთარ თავზე იძიებთ...

გამოსავალი სულ არ არსებობს... ღმერთმა ყველაზე მთავარი გვაჩუქა – სიცოცხლე... გესმით?! ყველაფერზე ძვირფასია სიცოცხლე... ნუ დააჩქარებთ მოვლენებს... ამქვეყნიდან ისედაც ყველა გავდივართ... ყველას მოგვიწევს იმ გვირაბის გავლა, რომელიც ამ სამყაროში დაფარულია...

იტირე, იყვირე, იკივლე, იდაყვები დაიგლიჯე, მაგრამ ფანჯარასთან გაბრაზებული ნურასდროს მიხვალ... ნურც ხიდის მოაჯირს გადაეყუდები... ნურც თოკს ჩამოჰკიდებ ხეზე...

სირთულე არ არის მუდმივი... ის აუცილებლად გადაივლის, ჩამოგშორდება, თუ შეაშინებ, თუ შეუღრენ... თვითმკვლელობა ყველაზე შემზარავი განაჩენია... თუ თვლი, რომ გაუსაძლის მდგომარეობას გაურბიხარ, უფრო გაუსაძლის სიტუაციაში აღმოჩნდები...

ჩვენი ცხოვრება ისედაც დილიდან საღამომდეა... ნუთუ ამ მოკლე ხანში, ვერაფერი უნდა მოვასწროთ, თვითმკვლელობის გარდა?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7500

ევრო — 3.0990

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4966

100 რუსული რუბლი — 4.822

## ამინდის პროგნოზი 6 ივნისისთვის





## „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას „მე მიყვარს კითხვა“

**28 მაისიდან**

მარკ ტვენი

**ტომ სოიერის თავგადასავალი**



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

**21 მაისიდან**

ძმები გრიმები

**ზღაპრები**



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

**31 მაისიდან**

**დიდი ქართველი მეფეები**



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## იუმორი

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

– აბა, გიგი, გამოდი და კლასს მოუყევი, როგორ მრავლდება ჭიაყელა?

– გაყოფით, მასწავლებელო.

– უფრო კონკრეტულად?

– ნიჩაბით.

●●●

დედა შვილს ეკითხება:

– ხვალინდელი ტესტებისთვის მზად ხარ?

– კი.

– რომ შეგამოწმო.

– შემამოწმე.

– კარგი. მაშინ მიპასუხე, რა დასრულდა 1986 წელს?

– 1985 წელი.

●●●

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– როგორ შეიძლება, რომ ბავშვის თვალწინ იგინებით?

– კი არ ვიგინები, მის მიერ ჩემ მანქანაზე დაწერილ სიტყვებს ვკითხულობ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ჩვენ პარლამენტარებს 1 ივნისი მიულოცე?

– კი მაგრამ, ეგ ხომ ბავშვთა დღე იყო?

– და განა ჩვენი პარლამენტარები ბავშვები არ არიან?

– რანაირად არიან ბავშვები?

– რანაირად და... ჯერ ერთი, არ მუშაობენ, მეორეც, ძვირფასი სათამაშოები უყვართ და ბოლოს, ათას სისაძაგლეს ჩადიან და მათ ამისთვის არავინ სჯის!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ექიმებმა ოპერაციის დროს პაციენტს ცეცხლი წაუკიდეს



ავსტრალიაში ექიმები ოპერაციას ატარებდნენ, რა დროსაც შემთხვევით პაციენტს დამწვრობა ელექტროდენით მიაყენეს.

60 წლის მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, საავადმყოფოში აორტის დისექციით მიიყვანეს. ის სასწრაფოდ დააწვინეს და ოპერაცია გაუკეთეს, რომლის დროსაც ელექტროკოაგულაციას მიმართეს. შემდეგ ექიმებმა პაციენტს მკერდი გადაუხსნეს, რათა გულამდე მიეღწიათ, მაგრამ ფილტვების ქრონიკული ობსტრაქტული დაავადების გამო, მისი მარჯვენა ფილტვი მკერდის ფიცარზე იყო შეზრდილი.

ქირურგები ორგანოების დაშორიშორებას შეუდგნენ და ფილტვის ზედაპირზე საჰაერო ბუშტი დააზიანეს. ამის გამო ფილტვს ჟანგბადის მიწოდება დაუწყეს, რათა პაციენტს სუნთქვის უკმარისობა არ დასწყებოდა. მოულოდნელად ხელსაწყოებისთვის განკუთვნილ ქაღალდის პაკეტზე, რომელიც მამაკაცის მკერდის სიახლოვეს დაავიწყდათ ელექტროკოაგულატორის ნაპერწკალი მოხვდა და იმწამსვე ავარდა ალი, ვინაიდან პაციენტის დაზიანებული ფილტვი ჰაერს აპარებდა.

ექიმებმა ოპერატიულად ჩააქრეს ცეცხლი და ოპერაცია გააგრძელეს. ამ ინციდენტის შედეგად არც პაციენტი და არც ექიმები არ დაშავებულან.

## ყუთში გამოკეტილ ჭადრაკის ფიგურას აუქციონზე გაყიდიან



შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის მკვიდრმა ოჯახმა კარადის უჯრაში აღმოაჩინა რელიქვია, რომლის ფასი მილიონი ფუნტი სტერლინგია.

შოტლანდიელებმა ჭადრაკის ფიგურა, რომელიც მათ კარადაში 50 წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო გამოკეტილი, ლონდონში სოტბის აუქციონის სახლში მიიტანეს, რათა ის ექსპერტებს შეეფასებინათ. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, ალექსანდრ კადერმა აღმოაჩინა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ფიგურა კუნძულ ლიუისიდან. კოლექცია ერთ-ერთ ყველაზე უიშვიათესად და ფასეულად ითვლება ევროპული კულტურის დამფასებლებისთვის.

– მებრძოლის ფიგურა ცოტათი დაზიანებულია, მას მარცხენა თვალი აკლია, თუმცა ეს მას მხოლოდ მომხიბვლელობას მატებს, – აღნიშნა კადერმა.

შოტლანდიელების ოჯახის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მე-20 საუკუნის შუა წლებში, მისი პაპა ედინბურგში ანტიკვარიატის მაღაზიის მფლობელი იყო. მან ლომვეშაპის ძვლისგან დამზადებული ფიგურა 1964 წელს ხუთ ფუნტად შეიძინა. მის საბუღალტრო წიგნში ნივთი სულ სხვა დასახელებით იყო შეყვანილი, ამიტომ მან არ იცოდა, თუ რა უმნიშვნელოვანესი რელიქვიის მფლობელი გახდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ჭადრაკის ფიგურა მის ნათესავებს დარჩათ, რომლებიც მას 50 წელი საგულდაგულოდ ინახავდნენ.

ჭადრაკი კუნძულ ლიუისიდან წარმოადგენს 93 ფიგურისგან შემდგარ კოლექციას. რომლებიც შუა საუკუნეებშია დამზადებული. ყოველი მათგანი შესანიშნავადაა დამზადებული ლომვეშაპის ეშვისგან და მხოლოდ რამდენი ფიგურაა დამზადებული ვეშაპის კბილებიდან. ამ დროისთვის 11 მათგანი შოტლანდიის ეროვნულ მუზეუმში, ხოლო დანარჩენი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

## ვეგეტარიანელს ბოსტნეულით კიბოს მკურნალობამ ვერ უშველა

ბრიტანეთის დერბიშირის საგრაფოში გარდაიცვალა ვეგეტარიანელი ქალი, რომელსაც მედიცინის არ სჯეროდა და ცდილობდა კიბოსთვის ბოსტნეულითა და ხილით ემკურნალა.

სამი წლის წინ, 40 წლის კეტი ბრიტონ-ჯორდანს სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე აღმოუჩინეს. ექიმებმა მას მასტექტომია, ქიმიოთერაპია და რადიოთერაპია ურჩიეს, ქალმა უარი თქვა სამედიცინო დახმარებაზე, ვინაიდან საკუთარი ორგანიზმის ქიმიოთერაპიით მოწამვლა არ სურდა და არც ქირურგიული ჩარევის სჯეროდა.

ბრიტონ-ჯორდანი ფიქრობდა, რომ მას ტრადიციული მედიცინა დაეხმარებოდა.

– ფორმაში ვარ, თავს კარგად ვგრძნობ და კვლავაც შემიძლია ჩემ გოგონას მოვუარო, – ამტკიცებდა ქალი, – მე მართლაც დამეხმარა ჩემი დიეტა, რომელიც უპირატესად ხილისა და ბოსტნეულისგან შედგება. ხოლო ჩემთვის რომ ქიმიოთერაპია გაეკეთებინათ, პრაქტიკულად საწოლს ვიქნებოდი მიჯაჭვული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ბუნებრივი აირის საბადო უკრაინის კარპატებში; 3. რუმინეთის დედაქალაქი; 4. ქვის ხავსი; 5. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 7. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 13. პეკინის მეორე სახელწოდება; 15. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 16. ირლანდიელი მწერალი, რომან „ულისეს“ ავტორი; 18. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, პლატინის ან ვერცხლის ნაკეთობაზე; 19. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი.

**თარაზულად:** 6. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 8. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 9. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 10. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 12. პირველი გერმანული ოპერა; 14. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი ზომის გარეული ხარი; 17. გერმანიის პარლამენტი; 20. ყურძნის შაქარი; 21. კრემისგულიანი ნამცხვარი; 22. ახლად ამოსული ხორბლის ყანა; 23. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*


**ფუ ფანგ დან შენ პიან**
**Fu fang dan Shen pian**



გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease high cholesterol

**მაი ვეი დი ჰუანგ ვან**
**Mai vei di huang van**



ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

**ნუან გონ იუნ ძ ვან**
**Nuan gong yun zi wan**



ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation. Infertility

**სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან**
**Xiao qe wan + liu vei di huang wan**



არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates sugar levels in blood

**ჩუან სიონ ჩა თიაო ვან**
**Huan xiong cha tiao wan**



თავის ტკივილი, გაციება, სისუსტე

head ache, ill, weakness

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/